ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 38 (1324)

25/IX-2/X, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საარჩევნო ბლოკში „11 ოქტომბერი" გაერთიანებულნი არიან:

საქართველოს სახალხო ფრონტი — თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე

საქართველოს რესპუბლიკური პარტია — თავმჯდომარე ვახტანგ ძაბირაძე

«დას»-ი (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში) — თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია

## აკაკი ბაქრაძის სატელევიზიო გამოსვლა

11 ოქტომბრის არჩევნები, საერთოდ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. და, ბუნებრივია, რომ ახალ პარლამენტში მეტად სასურველია იყოს ის ხალხი, ვისაც ამისთვის ენერგიაც აქვს, პოლიტიკური საქმიანობისათვის გამჭრიახი გონებაც, ახალგაზრდული მისწრაფებაც და პატიოსნებაც, ურომლისოდაც პოლიტიკური ცხოვრება ძალიან ცუდი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს.

და რაკი მე ვიცნობ უმრავლესობას, ვინც შედის ბლოკში „11 ოქტომბერი", ბუნებრივად ვარ განწყობილი იმისათვის, რომ მათ მხარი დავუჭირო და, როგორც ამომრჩეველმა, ხმა მივცე.

მე საერთოდ მიმაჩნია, რომ სასურველია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდეს ახალგაზრდობა, რადგან ახალგაზრდობას მოაქვს ის სიახლე, რაც ქვეყნის განახლებას სჭირდება.

ეს ბლოკი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული ძირითადად, თუმცა აქ არიან ჩვენი ხანდაზმული მოღვაწეებიც მეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში და, ცხადია, რომ ისინიც თავის წვლილს შეიტანენ ყველაფერში, რასაც მომავალი საქართველოს აღორძინება ჰქვია.

მაგრამ, როგორც გითხარით, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანები, რომლებიც ამ ბლოკში არიან გაერთიანებულნი, არიან გულწრფელნი, პატიოსანნი, ენერგიულნი, საქმის მოყვარულნი და პოლიტიკურ საქმიანობაში საკმაო გამოცდილების მქონენიც.

აი, ეს გახლავთ ძირითადად ის, რის გამოც მე, როგორც ამომრჩეველი, მათ მხარს ვუჭერ.

## თამაზ გამყრელიძის სატელევიზიო გამოსვლა

მე გადავწყვიტე ახლა, ბოლოსდაბოლოს, კენჭი ვიყარო ამ ახალ პარლამენტში ასარჩევად, ვინაიდან ვთვლი, რომ ერთადერთი გზა ჩვენი დღევანდელი კრიზისიდან გამოსვლისა, კრიზისიდან, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ხასიათისა, არის კანონიერი საკანონმდებლო ორგანოს არჩევა, რომელიც გაიყვანს ჩვენს ქვეყანას ახალ გზებზე და შეუდგება სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას.

ეს პარლამენტი, უნდა ითქვას, სამწლიანი პარლამენტია, რომელიც უფრო დამფუძნებელი კრების, დამფუძნებელი ყრილობის ხასიათს ატარებს. იქ მოამზადებს, შეიძლება ითქვას საფუძვლებს უკვე სრულყოფილი საკანონმდებლო ორგანოს, სრულყოფილი პარლამენტის არჩევისა, სადაც, იმედია, უკვე პროფესიონალები, წმინდა პროფესიონალი პოლიტიკოსები იქნებიან არჩეულები, რომლებიც, ალბათ, უკეთ წარუძღვებიან საქმეს, ვიდრე ჩვენ. ახლა უნდა ვეცადოთ, ყველა ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩატარდეს ეს არჩევნები დროულად და ნორმალურ ვითარებაში, და შევქმნათ, ბოლოსდაბოლოს, კანონიერი საკანონმდებლო ორგანო.

## დღეს ნომერში:

რა ხდება დღეს შიდა ქართლში? შეიცვალა თუ არა საქმე უკეთესობისაკენ დაგომისის ხელშეკრულების შემდეგ?

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მასალებს შეგიძლიათ გაეცნოთ მე-2 გვერდზე.

„ზვიად გამსახურდია სამართლებრივად უნდა წავიდეს პოლიტიკიდან" — მიაჩნია ქრისტიანულ - დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეს ირაკლი შენგელაიას.

ინტერვიუს ირაკლი შენგელაიასთან წაიკითხავთ მე-3 გვერდზე.

„ევროპულ ცივილიზაციას პრაქტიკულად ალტერნატივა არა აქვს" — ამტკიცებს ვახტანგ ერქომაიშვილი მე-3 გვერდზე დაბეჭდილ წერილში „ევროპული ცივილიზაცია თუ იბერიულ-კავკასიური ერთობა?"

„ქვეყნის მართვა პირველ რიგში პასუხისმგებლობას ნიშნავს და მხოლოდ შემდეგ უფლებებსა თუ პრივილეგიებს"

— აღნიშნულია მე-4 გვერდზე დასტამბულ ბაჩიოზ როგავას წერილში „ახლა უფრო დაფიქრების დროა".

# სამხრივი გეგმა მოქმედებაში

## „ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის!“

სამწუხაროდ, საქართველოში ომი არ დამთავრებულა. გრძელდება თავსმოხვეული სამხედრო მოქმედებანი აფხაზეთში. ყოველ დღე, ყოველ საათში, ყოველ წუთში საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ ახალი სისხლისღვრის, ახალი მსხვერპლის შესახებ...

* * *

ამ, მოსკოვიდან თუ თბილისიდან გადმოცემულ ცნობებში ხანდახან გამოკრთება ინფორმაცია, რომ შიდა ქართლში (მოსკოვის ტელევიზია რომ ძველებურად „იუჟნაია ოსეტიას“, ხოლო ქართული ტელევიზია-პრესა ახლებურად „ცხინვალის რეგიონს“ ეძახის) მშვიდობა, სიმშვიდეა, რომ ლტოლვილები უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრისს...

აფხაზეთის ომის ფონზე, შიდა ქართლში მართლაც მშვიდობაა...

თუმცა „მცირე“ ინციდენტები თურმე იქაც ხდება — აქ საქონელს იტაცებენ, იქ — ადამიანებს, აქ სცემენ, იქ — ხოცავენ...

„რატომღაც“ ნაცემი, მოტაცებული, დახოცილი ყოველთვის ქართველები აღმოჩნდებიან ხოლმე...

* * *

არა, არ არის მშვიდობა შიდა ქართლში!..

და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული „ინციდენტები“ ხდება.

ომი არა მარტო სამხედრო მოქმედებებს ნიშნავს.

იგი შეიძლება მშვიდობიანადაც მიმდინარეობდეს.

* * *

ყოველი ომი რაღაცისათვის იწყება.

მასში ჩაბმული ყოველი მხარე რაღაც, გარკვეულ მიზანს ისახავს.

და თუ რომელიმე მხარე ნახავს, დარწმუნდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა სისხლისღვრის გარეშე, მშვიდობიანადაც შეიძლება, იგი ძალიან გაწყვეტს ომს, ... მშვიდობა.

* * *

შეიძლება ითქვას, მსგავსი სიტუაცია შეიქმნა შიდა ქართლში.

* * *

აქ, ომის წამომწყები, ოსური მხარეც „მშვიდობაზე წამოვიდა“.

წამოვიდა, რამეთუ მშვიდობიანი გზით აკეთებს იმას, რის მიღწევასაც აქამდე ომის გზით ცდილობდა (დიახ, ეს ომი იყო და არა „ეთნოკონფლიქტი“, ასე რომ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცნობიერებაშიც, ასე რომ დაკანონ-გაბატონდა ჩვენი საინფორმაციო საშუალებების ლექსიკონშიც).

* * *

რა მიზანი ჰქონდა ოსურ მხარეს?

საქართველოსაგან მისი ძირძველი ნაწილის, შიდა ქართლის ჩამოცილება, ქართველთა განდევნით მისი სუფთა ოსურ მხარედ გადაქცევა, „ჩრდილო ოსეთთან“ გაერთიანება...

* * *

რა მიიღო ომის გზით?

განადგურდა არა მხოლოდ ქართული, ოსური სოფლებიც, დაიხოცნენ არა მხოლოდ ქართველები, ოსებიც, ლტოლვილებად იქცნენ არა მხოლოდ ქართველები, ოსებიც...

აშკარა გახდა, რომ ქართველობა თავს დასდებდა ბრძოლის ველზე და არაფერს დასთმობდა... შესაბამისად ნათელი იყო, ომის გაგრძელება, კარგს არაფერს უქადდა ოსებსაც!..

* * *

და ოსებმაც მშვიდობა ამჯობინეს.

რამეთუ

რა მიიღეს, რას იღებენ ისინი ფართო, აშკარა სამხედრო კონფრონტაციის გარეშე, სამშვიდობო მოლაპარაკებების, სამშვიდობო (დაგომისის) ხელშეკრულების შემდეგ?

* * *

ქ. ცხინვალში, საერთოდ შიდა ქართლში მასიურად ბრუნდებიან ოსი ლტოლვილები. ჩამოდიან არა მარტო ლტოლვილები (რომელთა რიცხვიც, რუსულ-ოსური „მონაცემებით“, რაღაც სასწაულით თურმე 130.000-ია, ანუ უფრო მეტი, ვიდრე საერთოდ ცხოვრობდნენ შიდა ქართლში!).

მათთან ერთად ჩამოდიან არალტოლვილებიც!

ამ „მოხალისეობის“ მიზანი ნათელია — შეიქმნან კიდევ უფრო მეტი დემოგრაფიული უპირატესობა!

შემოაქვთ იარაღი, იმაგრებენ პოზიციებს...

კვლავინდებურად არ სცნობენ, არ ემორჩილებიან საქართველოს იურისდიქციასა და ხელისუფლებას...

აძლიერებენ საკუთარ ადმინისტრაციას...

მართავენ „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებს...“

ერთი სიტყვით, აკეთებენ რაც უნდათ, და როგორც უნდათ...

სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობენ თავს...

* * *

და, კაცმა რომ თქვას, სხვა რა არის დამოუკიდებლობა?

* * *

რა მიიღო, რას იღებს ქართული მხარე?

თქმა არ უნდა, სისხლი ნაკლებად იღვრება, ნაკლებია მსხვერპლი, და ეს დასაფასებელია...

სხვაფრივ კი სიტუაცია არ შეცვლილა.

ქართველი ლტოლვილები ლტოლვილებად რჩებიან...

ცხინვალში რუსების დაცვის გარეშე ფეხს ვერ ადგამენ ქართველები (ზოგჯერ ესეც არ შველით)...

არ მოქმედებს ქართული იურისდიქცია...

საქართველოს ხელისუფლება ვერავის და ვერაფრის კონტროლს ვერ ახდენს...

საზღვარი „ჩრდილოეთ ოსეთთან“ (რუსეთთან) არ წარმოადგენს ქართულ საზღვარს, უფრო ზუსტად, საერთოდ არ არის საზღვარი და გადიან და გამოდიან ვისაც უნდა და რითიც უნდა...

ერთი სიტყვით, სახელად საქართველოსია ეს ტერიტორია და...

* * *

აბა რა ვქნათ, ომის გზას დავადგეთო?! — იტყვის ვინმე.

ომის გზას არა, მაგრამ უფრო მტკიცე პოზიციაზე დადგომა რომაა საჭირო — აშკარაა.

დიახ, მტკიცედ უნდა მოვითხოვოთ რუსულ-ოსური მხარეებისაგან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება.

„სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს“ დაშლა.

ქართული იურისდიქციის აღდგენა.

საზღვრისა და შემომსვლელთა კონტროლი.

ერთი სიტყვით, შიდა ქართლის ტერიტორიაზე საქართველოს უზენაესობის პრაქტიკული განხორციელებისთვის ხელშეწყობა თუ არა, ხელის არშეშლა მაინც რუსულ-ოსური მხრიდან.

* * *

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მთელმა ხალხმა, ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა არ უნდა მიივიწყონ (რაც აშკარად იგრძნობა), უნდა „გაიხსენონ“ შიდა ქართლის პრობლემა, იქ არსებულმა შედარებითმა სიმშვიდემ ყურადღება, სიფხიზლე არ უნდა მოუდუნოთ, ქვეყანა მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის, რათა ისევ ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ...

ფელიქს კოჟიაშვილი

## ტორეზ კულუმბეგოვი გამოსცემს დადგენილებებს

ტორეზ კულუმბეგოვი — რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. დიახ, დიახ, ეს ახვა. იგი იძლევა განკარგულებებს, სცემს ბრძანებებს, გადაწყვეტილებებს.

აი, რა წერია მის მიერ გამოცემულ დადგენილებაში, რომელიც დათარიღებულია 1992 წლის 1 სექტემბრით.

დაევალოს სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ჩაატაროს ყველა სახის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საკუთარ ავტოტრანსპორტზე სახელმწიფო ნომრების შეცვლა.

დადგენილებას ხელს აწერს ტორეზ კულუმბეგოვი.

მაშ ასე, რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში მანქანებს ექნებათ თავისი სახელმწიფო ნომრები.

გაზ. „შიდა ქართლი“
19.09.92

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

კიდევ ერთხელ მოგმართავთ შიდა ქართლის, კერძოდ, ცხინვალის რეგიონის ქართველობა! ქართველი ხალხის სამართლიან მისწრაფებას აღიდგინოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა წინ აღუდგა რუსეთის საბჭოური იმპერია. მან გამოიყენა ერთ-ერთი უძველესი და ამასთან ერთად ძალიან მოხერხებული მეთოდი: ეთნოკონფლიქტების პროვოკაცია. ყველაზე შედეგიანად ეს კონფლიქტი მან წარმართა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. ეს იმის შედეგია, რომ ათეულობით წლების მანძილზე აქ ეწყობოდა საფუძველი ანტიქართულ პროპაგანდას, ოსთა მთელი თაობები აღიზარდა ცრუ ისტორიით. სეპარატისტობის აპოლოგეტები გაშმაგებით უნერგავდნენ ოსურ მოსახლეობას, რომ ეს მიწა-წყალი — ლიახვისა და ფრონეების ხეობები მდ. მტკვრამდე ალანებს ეკუთვნოდათ და ქართველები აქ მოსული დამპყრობლები იყვნენ, რამაც მოამზადა ნიადაგი საშინელი სეპარატიზმის აღმოსაცენებლად და ზიზღი ყოვლივე ქართულისადმი, ამიტომაც მოახერხა იმპერიამ, რომ აქ დაენთო ეთნოკონფლიქტის საშინელი ხანძარი. შედეგი ქართველებისათვის ფრიად სავალალოა: ქ.ცხინვალიდან და ყოფილი ზნაურის რაიონის 11 სოფლიდან რუსი ჯარისკაცებისა და კბილებამდე შეიარაღებული ოსი „ბოევიკების“ მიერ გამოდევნილია ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ქ.ცხინვალში ოსებმა გადაწვეს ქართველების სახლების 80 პროცენტი. დანარჩენში თვითონ შესახლდნენ. გადამწვარია ორივე ქართული საშუალო სკოლა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ზნაურის რაიონში გადაწვეს ყველა ქართული სკოლა, ქართველთა 350 სახლი. ამასთან ერთად, მრავალ სახლს ოსები შლიან და მასალებად იტაცებენ. უზარმაზარი ზიანი აქვს მიყენებული დიდი ლიახვის ხეობას და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიმდებარე გორისა და ქარელის რაიონის სოფლებსაც. ამ კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 450 ქართველი, მათ შორის მრავალს საშინელ წამებაში ამოხადეს სული. თქვენმა დანიშვნამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე და რამოდენიმე განცხადებამ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე, დიდი იმედი მოგვცა და დაგვიბრუნა რწმენა, რომ ბოლოსდაბოლოს სიმართლე იზეიმებდა. მართალია, ცნობას იმის შესახებ, რომ ქართულ მხარესთან ერთად კონფლიქტის ჩასაქრობად მონაწილეობას მიიღებდნენ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ფორმირებები, ჩვენში მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია, რადგან ვთვლით, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თავისი შინაური საქმეები თვითონ უნდა მოაგვაროს, მაგრამ მშვიდობის დამყარების უდიდესმა სურვილმა დასძლია ამბიციები.

მოხდა ის რასაც ყველაზე ძალიან გვეშინოდა. თუ დავუჯერებთ დაგომისის ხელშეკრულებას, რეგიონში უნდა შემოსულიყო ქართველების, რუსების და ჩრდილოეთ ოსების შეიარაღებული ფორმირებების თანაბარი რაოდენობა, რომლებიც განლაგდებოდნენ ოსური და ქართული მოსახლეობის მიჯნაზე და დაიცავდნენ მათ უსაფრთხოებას, ამასთან ერთად, დაბრუნდებოდნენ როგორც ქართველი, ასევე ოსი ლტოლვილები, განაიარაღებდნენ არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებს. სინამდვილეში რაც მოხდა, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ხაზარების შემოსევას შიდა ქართლში ჩრდილოეთიდან. ფაქტობრივად მოხდა ამ ტერიტორიის ოკუპაცია. დიდი რაოდენობით შემოვიდნენ რუსისა და განსაკუთრებით ოსების კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო ფორმირებები, რომლებიც განლაგდნენ ყოფილი ოლქის საზღვრების გასწვრივ, რითაც ხაზი გაუსვეს იმას, რომ ისინი იცავენ „თავიანთ ტერიტორიას“. მათ არსენალში იმყოფება დიდძალი მძიმე ტექნიკა (მარტო ზნაურში მათ განკარგულებაშია 40 ჯავშანტრანსპორტიორი!) და ყოველნაირი საომარი საშუალებანი. რა ხდება ქართველთა სამშვიდობო ბანაკში? რამოდენიმე უსუსური ჯგუფი განლაგდა აგრეთვე ყოფილი ოლქის საზღვრებზე (სოფ. ვანათის გარდა). მათ განკარგულებაშია მხოლოდ ავტომატები. არავითარი უფლება არ გააჩნიათ (როგორც ისინი გვიხსნიან) გადაადგილებისა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონტროლის საწარმოებლად. ყოველივე ამის გამო ქ.ცხინვალი და ზნაურის რაიონი ფაქტობრივად ქართველებისთვის დაკარგულია.

ბატონო ედუარდ! ჩვენ რამდენჯერმე მოგმართეთ თქვენ ამ საკითხთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ თქვენთან შეხვედრებს კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა და ყოველთვის დიდი იმედის გრძნობები გვეუფლებოდა, მაგრამ საქმემ წინ ვერ წაიწია. პირიქით, ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებამ გვერდით ამოიყენა ადგილობრივი „ბოევიკები“, რომელთაგან ზოგიერთი ოფიციალურადაც კი გააფორმეს თავიანთ რიგებში. ისინი კვლავინდებურად ეწევიან დაცარიელებული ქართული სოფლების გაპარტახებას, ანგრევენ და ბილწავენ ეკლესიებს, შეურაცხყოფენ სასაფლაოებს. არ მალავენ, რომ მათი მიზანია „ქართული გენის ამოკვეთა“ ამ მხარეში. ეგრეთ წოდებულმა ოსურმა სამშვიდობო მხარემ უკვე მოასწრო ჩაედინა რამოდენიმე დანაშაული, ესენია: პირუტყვის გატაცება, ქართულ სოფლებზე თავდასხმები, მკვლელობები (სოფ. მუგუთთან ქართული სამშვიდობო ფორმირების მეომრების წამებით მოკვლა) და სხვა. ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ სამოქმედო ტერიტორიით. ხშირად ჯავშანტრანსპორტიორებით გამოდიან ქარელში, აგარაში, გორში, თავხედურად აფრიალებენ ოსურ თუ სკვითურ დროშებს და ცეცხლს უშენენ ქართულ მოსახლეობას. ასეთ პირობებში, მოგეხსენებათ ქართველების დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მიუხედავად ამისა, ქართველებმა ერთხელ, 31 ივლისს, სცადეს შესულიყვნენ ზნაურში. მაგრამ ოსმა ექსტრემისტებმა, ოსური სამხედრო ფორმირებების მეთაურებთან შეთანხმებით, ხალხით სავსე ავტობუსი ლამის დასწვეს. ამით მათ ქართველებს ერთხელ კიდევ აგრძნობინეს, რომ ეს მიწა-წყალი ოსებისათვის არის ნაბოძები და იქ ქართველი ვერ გაიჭაჭანებს. გრძელდება ჩრდილოეთიდან დიდძალი იარაღის შემოტანა ოსი მოსახლეობისათვის.

აღშფოთებულნი ვართ გენერალ გიორგაძის მოქმედებით, უფრო სწორედ, უმოქმედობით. ის არაფერს არ აკეთებს ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებისათვის. ამასობაში ცხინვალი და სხვა რაიონები გაივსო ოსებით, კაცმა არ იცის, ვინ და საიდან შემოდის. ხდება ამ ტერიტორიის სრული ანექსია! სამწუხაროდ, ისტორია მეორდება: 20-იანი წლების ანალოგიური მოვლენების შედეგად „გაოსდნენ“ ისეთი ქართული სოფლები, როგორიც არის მსხლები, ნატახტარი, ტბეთი, ყორნისი, წუნარი, წორბისი, თორმანეული, მუხაური, დიდმუხა, ველები, ქვათეთრი, ძეილეთი, მეტეხი, რუსთავი, ღარისთავი და მრავალი სხვა. თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული ზომები ასეთივე ბედი ეწევა ქ.ცხინვალს და ყოფილი ზნაურის რაიონის ქართულ სოფლებს: თერგვანს, ახალშენს, ნედლათს, სუნისს, ზემო და ქვემო ოქონებს, ხუნდისუბანს, ნაბაკევს, თილევას, ალიბარს, წინდარას, მუღრისს, ქალეთსა და მრავალ სხვას.

ქართველი ლტოლვილები სასოწარკვეთას მიეცნენ. დღეს ისინი ვერ ხედავენ მათი ინტერესების დამცველებს. ჩვენ გადავიქეცით რაღაც მასად, რომელიც არავის არ სჭირდება და ვგრძნობთ, რომ დედასამშობლოსაც უკვე ყელზე ვადგებით. არ შეგვიძლია დავფაროთ ჩვენი უკმაყოფილება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამარცხვინო ... დაკავშირებით მოღვაწეობის შესახებ. აღარ გვინდა

(დასასრული მე-6 გვ.)

**საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი** — 1989 წელს დაარსდა ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაცია, რომლის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა 1990 წლის მარტში. ასოციაციას, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის დაშლის შემდეგ შეუერთდა ამ პარტიის ძირითადი ბირთვი. ასე შეიქმნა ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

ქდკ არის ყველა ქრისტიანულ-დემოკრატიული კონფერენციის მონაწილე, რაც კი ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე გამართულა. კავშირს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალთან.

ქდკ-ს ძირითადი პრინციპია თავისუფლება, თანაბარუფლებიანობა და თანადგომა. კავშირს აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „თემი".

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეა ბატონი ირაკლი შენგელაია, რომელიც კენჭს იყრის ბლოკის — „11 ოქტომბერი" სიით № 1 (თბილისის) საარჩევნო ოლქში.

გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ **ირაკლი შენგელაიასთან.**

# ირაკლი შენგელაია:
# ზედმეტი თამაში არ არის საჭირო...



— ბატონო ირაკლი, მიუხედავად იმისა, რომ 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობთ, პოლიტიკურ ასპარეზზე, ამ ბოლო ხანს, თითქმის არ ჩანხართ. რას მივაწეროთ თქვენს დუმილს — თანხმობას, პროტესტს თუ, მომიტევეთ, გულგრილობას?

— არსებობს დრო, როცა უნდა ილაპარაკო და დრო, როცა საქმე უნდა აკეთო. მე მიმაჩნია, რომ ახლა სწორედ საქმის კეთების დროა და არა იმდენად ლაპარაკის. თანაც დღეს, მაპატიეთ და, ძალიან ბევრი უსაგნოდ ლაპარაკობს.

რაც შეეხება ძირითად პოლიტიკურ მომენტებზე ჩვენს შეხედულებებს. საკუთარ პოზიციებს ჩვენ არ ვმალავთ და ვაცხადებთ საქვეყნოდ. მაგალითად, აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ჩვენ ჯერ კიდევ ივლისის თვეში გამოვაქვეყნეთ განცხადება, სადაც ჩამოვაყალიბეთ პოზიცია იქ მიმდინარე პროცესებზე, მის გადაჭრის გზებზე და გამოვთქვით საშიშროება, რომ თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია კონფრონტაცია. სამწუხაროდ, ეს ასეც მოხდა...

ასე რომ, ბევრს თუ არ ვლაპარაკობთ, ეს არც გულგრილობა გახლავთ ნადვილად, არც თანხმობა და არც პროტესტი. რაც არ მოგვწონს იმის შესახებაც ვამბობთ, და რაც მოგვწონს — იმის შესახებაც. ერთი კია, ჩვენი ძალისხმევა უფრო მეტად მიმართულია პარტიის შიგნით მუშაობაზე...

— რას ნიშნავს თქვენთვის 11 ოქტომბრის არჩევნები?

— ჩემი აზრით, მომავალ არჩევნებს აქვს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი მხარეებიც. უარყოფით მხარედ ვგულისხმობ მოსალოდნელ, არასასურველ შედეგებს, ხოლო დადებითად იმას, რომ პარლამენტის გარეშე ან მისი გადავადების შემთხვევაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, აღმოვჩნდებით უმართავი პროცესების წინაშე და თავს ვერ გავართმევთ ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. საქართველოში ისეთი მძლავრი ეკონომიკური რეფორმაა გასატარებელი, რომელსაც აუცილებლად სჭირდება პარლამენტი.

გარდა ამისა, დღეს არის გარკვეულწილად ხელისუფლების კრიზისი და ეს კრიზისი განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო.

ამ კრიზისის დასაძლევადაც აუცილებლად საჭიროა არჩევნების ჩატარება და კანონიერი პარლამენტი.

რაც შეეხება ნეგატიურ მხარეებს. მე უკვე ვახსენე ზემოთ არჩევნების არასასურველი შედეგები, რაც გამოიხატება იმაში, რომ შესაძლოა 11 ოქტომბერს ვერ გაიმარჯვოს რადიკალურმა ძალებმა; ანდა შესაძლებელია, ისეთმა პოლიტიკურმა ძალებმა მიიღონ ბევრი ადგილი პარლამენტში, რომლებიც, მცირე ხნის შემდგომ, დაკარგავენ თავიანთ ავტორიტეტს და ქვეყანას ახალ განსაცდელს დაატეხენ თავს.

მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, უმჯობესია პარლამენტში უმცირესობაში ყოფნა, ვიდრე ის ქაოსი, რაც შესაძლოა მოჰყვეს არჩევნების გადავადებას.

— ასეთი შეკითხვა დღეს საქართველოში, ვფიქრობ, თქვენს გარდა, შეიძლება კიდევ ერთ ან ორ პოლიტიკოსს დაუსვა. რატომ არ დაასახელეთ თქვენი კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე საყოველთაო არჩევნებში? ხომ არ შეგეშინდათ „მრისხანე" მეტოქის?

— საქმე ის გახლავთ, რომ თავად ამგვარი არჩევნების დანიშვნა უკვე ნათელს ხდის იმას, რომ აქ, ასე ვთქვათ, სხვა ვარიანტის გათამაშება უბრალოდ თავის მოტყუება იქნებოდა. გასაგებია, თუ რატომ დაინიშნა ასეთი არჩევნები... სამართლებრივად რამდენად გამართული თუ გაუმართავია იგი, ეს სხვა საკითხია. და ცხადია, ამგვარი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. გარკვეულწილად, თუ შეიძლება ითქვას, ეს არის რაღაც სამართლებრივი კომპრომისი. ამიტომ ამგვარ არჩევნებში მონაწილეობა და სხვა ალტერნატიული კანდიდატურის დასახელება ჩემთვის ზედმეტ თამაშად ჩაითვლებოდა. ზედმეტი თამაში არ არის საჭირო. გასაგებია და ნათელია, თუ რა გეგმით და რა სქემით ხორციელდება ეს არჩევნები. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, რომ ბატონი ე. შევარდნაძე შესულიყო რომელიმე ბლოკში. დღესაც იგივე აზრის ვარ. მაგრამ ამგვარი სახით პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა, პირადად ჩემთვის, მოულოდნელი იყო. სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია.

— ბატონო ირაკლი, მე ვიცი, რომ პირადად თქვენი და თქვენი ორგანიზაციის სახელთან დაკავშირებულია არა ერთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და მათი სახელდება. ბოლო ხანს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის იდეას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახით კონკურენტი გამოუჩნდა. როგორ აღიქვით ეს ფაქტი?

— საქმე ის გახლავთ, რომ თავის დროზე იმ პოლიტიკურმა ინტრიგებმა, რაც დატრიალდა ეროვნული სამართლიანობის კავშირის ირგვლივ და რაც სავსებით გასაგებია, თუ რატომ მოხდა, გამოიწვია ის, რომ რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, რომელიც იყო მემკვიდრე ეროვნული სამართლიანობის კავშირისა, საბოლოო ჯამში, დაიშალა.

ჩვენ რესპუბლიკელები ვიყავით და რესპუბლიკელებად დავრჩებით ბოლომდე. მეფის საძებნად არსად არ დავდივართ და არც არასდროს ვივლით. ვართ რწმენით რესპუბლიკელები და ფედერალისტები და მიგვაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ფედერალური მოწყობის ქვეყანა და არა უნიტარული ტიპის სახელმწიფო. თუმცა ყოფილმა პრეზიდენტმა იმდენი მოახერხა, რომ ყველა იდეის პროფანაცია მოახდინა, მაგრამ მე მწამს, რომ საქართველოს მომავალი სწორედ ამგვარ მოწყობას ეკუთვნის.

რაც შეეხება ქრისტიანულ-დემოკრატიულ იდეას. ჩვენთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რომელიმე სხვა პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისა არის. თუ ვინმესთვის ჩვენი არსებობაა პრობლემა, ეს მათივე გადასაწყვეტია. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმ გზის სისწორეში, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ავირჩიეთ.

მე შევახსენებ ამომრჩევლებს, რომ პირველად ქრისტიანულ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობაზე, ლუდვიგ ერჰარდტის გეგმებსა და საბაზრო ეკონომიკურ რეფორმებზე საუბარი დაიწყო სწორედ ჩვენმა ბლოკმა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს.

ასე რომ, ჩვენ თანამიმდევრულნი ვართ და კიდევ ვიმეორებ: თუ გამოჩნდება საქართველოში ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეის მაღიარებელი პარტიები, ეს უკეთესია. მაგრამ არ უნდა იყოს ისეთი პრეტენზიები, რომ ჩვენ ვართ და სხვა არავინ. ეს პრინციპი ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

— დღეს რომ 12 ოქტომბერი ყოფილიყო და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ, რას ეტყოდით საქართველოს მოსახლეობას, ამომრჩევლებს?

— პირველ ყოვლისა, ყველას მოვუწოდებ ფართო შერიგების, ფართო შეთანხმებისკენ... ამის გარეშე არაფერი გამოგვივა. მიუხედავად [illegible], რომ საზოგადოებაში რადიკალური [illegible] განსხვავებული მოსაზრებები არსებ[illegible], უნდა მოიძებნოს გზები, რომლებიც [illegible] ფართო შ[illegible]ანხმებამდე. ამ [illegible] ძიების გარეშე [illegible] ფერი გამოვა... [illegible] ერთი. შევახს[illegible] ყველა[illegible] რომ [illegible] [illegible]ბატებ[illegible] არგუმენტ[illegible] არაფ[illegible] ყოფილა [illegible] არც იქნება. შე[illegible] რაღაც [illegible] თავისი [illegible] გააკეთოს, მაგრამ საბოლოო ჯამში [illegible] ვერ იმარჯვ[illegible] ყველაფერ[illegible] პოლიტიკურ მეთოდებში.

სხვათა შორის, [illegible] ქრისტიანულ-დე[illegible] მსოფლმხედველობ[illegible] საზოგადოების შექმნას, საზოგადოებისა, [illegible] ურთიერთგაგებისა და ურთიერთ[illegible] სულისკვეთება ხუფევს.

— საჭირო რომ გახდ[illegible] ამ ფართო შერიგების მისაღწევად, [illegible] თუ არა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან?

— თავის დროზე თქვენი გაზეთის ფურცლებზე, ეს იყო ივლისის თვეში, მე დავაყენე საკითხი, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, რადგან მან თავი ვერ გაართვა ვერანაირ პრობლემას.

რაც შეეხება ბატონ გამსახურდიას.

მე უფრო მოლაპარაკების მაგიდას მოვუჯდებოდი მის მომხრეებთან. რადგან ისინი რაღაც გარკვეულ ძალას წარმოადგენენ. მაგრამ თავად გამსახურდია, მე მგონი, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. ის, ფაქტიურად, უკვე წასულია, მაგრამ სამართლებრივადაც უნდა წავიდეს პოლიტიკიდან. სხვა აზრი არ არსებობს, რადგან მან საქართველო კატასტროფის პირას მიიყვანა.

ესაუბრა
**კობა ლიკლიკაძე**

---

## თვალსაზრისი

# ევროპული ცივილიზაცია თუ იბერიულ-კავკასიური ერთობა?

საქართველო ისტორიული არჩევანის წინაშე დგას. თუ რას აირჩევს იგი, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მისი მომავალი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომლის მიხედვით უნდა აშენდეს ახალი ქვეყანა. ლაპარაკია ღირებულებით ორიენტაციაზე — მსოფლიოს რომელ ქვეყნებზე და რომელ კულტურაზე უნდა ავიღოთ გეზი?

ხელისუფლებამ აშკარად და ცალსახად გააკეთა არჩევანი: ეს არის ევროპული ცივილიზაცია. მას გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებიც მოითხოვენ ორიენტაციის აღებას იბერიულ-კავკასიურ ერთობაზე. მაშასადამე, დილემა დგას ასე: ევროპული სახლი თუ იბერიულ-კავკასიური ერთობა? რამდენად სერიოზულია ეს დავა?

საკითხი არ ეხება საქართველოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ გაერთიანებას სხვა ქვეყნებთან. იგი უნდა ვითარდებოდეს როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ცხადია, ეს არ ნიშნავს მის იზოლაციას მსოფლიოსაგან და თავის თავში ჩაკეტვას. მან უნდა ითანამშრომლოს ყველა — როგორც მეზობელ, ისე არამეზობელ ქვეყანასთან. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. საკამათო სულ სხვაა: რომელ ღირებულებებსა და პრინციპებზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია?

ევროპული ცივილიზაცია არ იფარგლება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებით. მას მიეკუთვნება ამერიკისა და აზიის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, მაგალითად, აშშ, კანადა და იაპონია. ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ეკონომიური განვითარების მაღალი დონე, რომელიც უზრუნველყოფს მათი მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას. ეკონომიკური სიმდიდრე და სამხედრო სიძლიერე თავისთავად მიმზიდველს ხდის ამ ქვეყნებზე ორიენტაციის აღებას, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: ეს არის ის ღირებულებები და იდეალები, რომელთაც მოცემული ცივილიზაცია ეფუძნება.

ევროპულ ცივილიზაციას დასაბამი მისცა ანტიკურმა ეპოქამ. ბერძნულ-რომაული კულტურა იყო ის ამოსავალი, რომლის თანდათანობით, წინააღმდეგობებით და ტრაგედიებით აღსავსე ისტორიამ განაპირობა თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების წარმოშობა. ეს არის განსაკუთრებული, თვითმყოფადი კულტურა, რომლის უდიდესი მონაპოვარია შემდეგი:

1. დემოკრატია;
2. საბაზრო ეკონომიკა;
3. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია;
4. რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან;
5. ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრება.

ევროპულ ცივილიზაციაზე ორიენტაცია ნიშნავს აღნიშნულ პრინციპებსა და იდეალებთან ზიარებას და მათ დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. ცხადია, ამ პროგრამის რეალიზაცია არ არის ერთი და ორი წლის საქმე. იგი ხანგრძლივი პროცესია. აქ ლაპარაკია მხოლოდ არჩევანის მოხდენასა და ღირებულებითი ორიენტაციის აღებაზე.

რა პრინციპები და იდეალები შეუძლიათ შემოგვთავაზონ იბერიულ-კავკასიური ერთობის იდეის მომხრეებმა? არავითარი, რადგან ამ რეგიონს ჯერ მსგავსი რამ არ მოუპოვებია. მას არ გააჩნია ისეთი ღირებულებითი ორიენტირები, რომლებიც ევროპული ცივილიზაციის პრინციპებსა და იდეალებს კონკურენციას გაუწევდა.

საქართველო მიეკუთვნება კავკასიის რეგიონს, რომლის ხალხები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონით, ტრადიციებით და კულტურით. ზოგიერთს ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული და სხვა პრეტენზიები აქვს, ხოლო ზოგიერთს შორის აშკარა თუ ფარული ომი მიმდინარეობს. იმდენად ღრმაა წინააღმდეგობანი, რომ მათი გადაჭრის პერსპექტივა არ ჩანს.

ფაქტია, რომ ერთიანი იბერიულ-კავკასიური სახლი არ არსებობს. რა თქმა უნდა, ორიენტაცია ავიღოთ იმაზე, რაც არ არსებობს, უაზრობაა. ალბათ, უნდა ვიბრძოლოთ, რათა ავაშენოთ იგი. მაგრამ რამდენად რეალურია ამ ამოცანის განხორციელება?

თუ გავითვალისწინებთ ფაქტობრივ ვითარებას, მაშინ აღნიშნული გეგმის რეალიზაციაზე ფიქრი უტოპიაა. საქმე ისაა, რომ კავკასიის რეგიონის ხალხები დღეს დაკავებულია თავიანთი საკუთარი პრობლემებით. სხვისი გასაჭირი მათ იმდენად აწუხებთ, რამდენადაც ეს მათ ტკივილთანაა გადაჯაჭვული. ანალოგიურ მდგომარეობაშია საქართველოც. დღეს მისი მთავარი საზრუნავია როგორმე თავი დააღწიოს კრიზისს და გადაურჩეს კატასტროფას. ამ სიტუაციაში ფიქრი იმაზე, რომ მოვაგვაროთ ჩვენი მეზობლების კონფლიქტები, რათა მივაღწიოთ ერთიანი ოჯახის შექმნას, დონკიხოტობაა და მეტი არაფერი.

საქართველოს რომ თავისი რეგიონის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს და მათთან ითანამშრომლოს, ეს სადავო არაა. თუმცა ეს ცალმხრივი პროცესი არ არის, ამისათვის ურთიერთდაინტერესებაა აუცილებელი. ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს არა მეგობრობისა და ძმობის, სიყვარულისა და თანაგრძნობის გულისამაჩუყებელ, რომანტიკულ გრძნობებს, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს. მისი საფუძველი უნდა იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა, ურთიერთპატივისცემა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება.

მაგრამ კავკასიის რეგიონის ხალხთა ურთიერთთანამშრომლობა არ გულისხმობს მათ ერთობას. მართალია, იბერიულ-კავკასიური ერთობის იდეა თეორიულად დასაშვებია, მაგრამ პრაქტიკულად განუხორციელებელია, ყოველ შემთხვევაში, მოაზრებადი მომავლისათვის მაინც.

ამგვარად, დილემა არასერიოზულადაა დასმული, რადგან ევროპულ ცივილიზაციაზე ორიენტაციას პრაქტიკულად ალტერნატივა არა აქვს. დასავლური კულტურაა ის ერთადერთი ნავსაყუდელი, რომლისკენაც უნდა მიემართებოდეს ჩვენი გემი. ამ გზიდან გადახვევა დღეს საქართველოსთვის დამღუპველია.

ასე რომ, არჩევანი სწორადაა გაკეთებული.

**ვახტანგ ერქომაიშვილი**

### გოგა ხაინდრავა:

# ეს იქნება მძიმე გზა...

**კინორეჟისორი გიორგი (გოგა) ლევანის ძე ხაინდრავა დაიბადა თბილისში 1957 წელს. დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. სხვადასხვა დროს მუშაობდა მშენებლობაზე, გეოლოგიურ პარტიაში, ქიმიურ ლაბორატორიაში...**

**ერთხანს იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტიც. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ მთლიანად მიეცა კინემატოგრაფიას და თვლის, რომ ამ საქმისათვის არის გაჩენილი.**

**გოგა ხაინდრავამ რეზო გვარლიანთან და ნიკო ჩხეიძესთან ერთად ფირზე აღბეჭდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ღამე...**

**ამავე წლიდან ეწევა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, რისთვისაც დაპატიმრებული იყო პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის დროს. ციხეში ყოფნის დროს მიენიჭა საერთაშორისო ჯილდო საუკეთესო ოპერატორობისათვის.**

**გ. ხაინდრავა არის სახელმწიფო საბჭოს წევრი და სტუდია „მტს“-ის დირექტორი.**

**ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.**

**დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია რესპუბლიკური პარტიისაგან და კენჭს იყრის ბლოკის — „11 ოქტომბერი“ სიით N 1 (თბილისის) ოლქში.**

* * *

**— წინასაარჩევნო ციებცხელება თავის აპოგეას მიაღწია. რას ელით 11 ოქტომბრის არჩევნებისაგან და როგორია თქვენი წინასაარჩევნო განწყობილებები?**

— ამ არჩევნების აუცილებლობა ქართველი ხალხისთვის და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის იმდენად მკაფიოა, რომ ამაზე დიდხანს არ შევუდგები საუბარს. ეს არის ერთგვარი გარდატეხის წერტილი ჩვენს ცხოვრებაში, რამეთუ არჩევნების ჩატარება და ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოყალიბება საქართველოში ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა იმ გამწვავებული ურთიერთობის დასარეგულირებლად, რაც საქართველოში არსებობს.

განწყობილებას რაც შეეხება, მე რეალისტი კაცი ვარ და კარგად ვხედავ, თუ რა მძიმე მორალურ-პოლიტიკური ვითარებაა საქართველოში. ქვეყანა, ფაქტიურად, საომარ მოქმედებებს აწარმოებს დასავლეთში. ეს ომი ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე იგი ჩვენს საზოგადოებას აქვს აღქმული...

მდგომარეობა რომ ძალზე საშიშია, თუნდაც ის გადაცემაც ადასტურებს, რომელიც შეეხებოდა გროზნოში ჩატარებულ „მრგვალ მაგიდას“. თემები, საკითხები და მიდგომები, რომლებიც იქ იყო გამოვლენილი, მე ვფიქრობ, რომ თანაბრად საშიშია როგორც საქართველოსთვის, ისე მთლიანად კავკასიის რეგიონისათვის.

მიუხედავად ამ საშიშროებისა, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მე მჯერა ჩვენი სიმართლის, მჯერა ჩვენი გამარჯვების. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ მივაღწევთ იმ მიზანს, რომელიც დავისახეთ. მაგრამ ეს იქნება მძიმე გზა. და ამ გზაზე აუცილებელია გაერთიანება და იმის შეგნება, რომ ერთადერთი პატრონები ჩვენი თავისა ჩვენვე ვართ და თუ შუაზე გავიხლიჩეთ, ძალიან გაგვიჭირდება.

**— საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი, თითქოს თქვენ გეთქვათ, რომ ქართველებმა ოსებს გენოციდი მოუწყეს. ეს სინამდვილეა, გაუგებრობა თუ ცილისწამება?**

— აქ ალბათ უფრო გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე განზრახ ცილისწამებასთან. საერთოდ მითქმა-მოთქმა და გაუგებრობები ჩვენი ცხოვრების წესად იქცა.

ასეთი რამ არც მითქვამს და არც მიფიქრია. მე ერთ-ერთი საუბრის დროს აღვნიშნე, რომ მოვა დრო და დავრწმუნდებით, რომ რაც ცხინვალის რეგიონში ხდებოდა, ეს იყო ბარბაროსობა ორივე დაპირისპირებული მხრიდან. სიტყვა გენოციდი არ მიხმარია. ხოლო ბარბაროსობას მართლაც ჰქონდა იქ ადგილი. ამაში, ვგონებ, ვერავინ შემედავება. შემიძლია კონკრეტული ფაქტებიც მოვიტანო...

თანაც ეს მე ვთქვი არა პოლიტიკური, არამედ წმინდა ადამიანური მოსაზრებით, რათაც მინდოდა ხაზი გამესვა იმისათვის, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს იმ კუთხის მოსახლეობა — სამი წლის მანძილზე ჩაკეტილი და ერთიერთზე დანასისხლად გადაკიდებული; მეჩვენებინა, რომ იქ ორივე მხრიდან ხდებოდა ისეთი რამეები, რაც არ ეკადრება ცივილიზებული საზოგადოების წევრებს.

ეს იყო ჩემი გულისტკივილი და იგი არ ნიშნავს, თითქოს ოსებს ვამართლებდე და ქართველებს ვამტყუნებდე. ოსები რომ ჩვენთან ტყუიან, ამას მტკიცება არ სჭირდება. ეს არის ჩვეულებრივი აგრესია, რომელსაც ზურგი აქვს გამაგრებული ჩრდილოელი „მეზობლებისაგან“, ისევე როგორც დღეს აფხაზეთში...

**— თქვენ მართებულად შენიშნეთ, რომ ჩვენი საზოგადოება აყოლილია ჭორებს და მითქმა-მოთქმას. ამ დღეებში აქა-იქ გაისმის ხმები, თითქოს გაზეთ „იბერია სპექტრის“ გამოუსვლელობა, სხვებთან ერთად, გოგა ხაინდრავას ბრალიც არის, რადგან მან (ე.ი. თქვენ) სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გაზეთსა და მის რედაქტორს მატყუარები უწოდათ. საბუთები თუ გაქვთ ასეთი მძიმე ბრალდებისათვის?**

— როდესაც „იბერია-სპექტრის“ საკითხი დაისვა სახელმწიფო საბჭოში, მე იმ ხალხის ჯგუფში ვიყავი, ვინც კატეგორიულად დაგმო ძალადობის აქტი, რომელიც მოხდა. მიმაჩნია, რომ კანონის დარღვევით გაზეთის დახურვა არაფრით არ შეიძლება. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები ასეთი ფაქტებისა. ასე იყო კომუნისტების დროს, გამსახურდიას მმართველობისას, დღესაც ასეა და ხვალაც ასე იქნება. თავგასულობას და უკანონობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი არც ერთი საკითხის გადაწყვეტისას, ვისგანაც არ უნდა მოვიდეს იგი.

„იბერია-სპექტრს“ რაც შეეხება, მე სავსებით გააზრებულად ვთქვი, რაც ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ: ეს არის გაზეთი, რომელიც იტყუება და ირაკლი გოცირიძე არის მატყუარა კაცი. ამის დასასაბუთებლად მე საკმაოდ ბევრი მასალა გვაქვს. ეს მე მასაც განვუცხადე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლამდე და ავუხსენი, თუ რატომაც ვფიქრობ ამგვარად. ჩემი ნათქვამის სისწორე მზად ვარ დავასაბუთო ყველგან.

**— სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობამ და წინასაარჩევნო სამზადისმა ხომ არ შეგზღუდათ შემოქმედებითი თვალსაზრისით?**

— სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობამ, თუ ამას მოღვაწეობა ჰქვია — კი. წინასაარჩევნო მარათონის დაწყებამ კი — პირიქით, უკან დამაბრუნა ჩემს სულიერ სამყაროში. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ტელეგადაცემები, რომლებიც ჩვენი ბლოკის საქმიანობას ეხება და მაყურებლის სამსჯავროზე რამდენჯერმე წარსდგა, ჩემი ხელიდან არის გამოსული.

საერთოდ, რა თქმა უნდა, ხელი მეშლება და ვწუხვარ ამაზე. მაგრამ დგება მომენტები ადამიანისა და სახელმწიფოს თანაცხოვრებაში, როდესაც პრინციპული საკითხები იმდენად რთული და გადამწყვეტია, რომ ხანდახან ხდება ძირითადი საქმიანობის უკანა პლანზე გადაწევა საზოგადოების სასარგებლოდ.

**— დღეს რომ 12 ოქტომბერი ყოფილიყო და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ, რას ეტყოდით საქართველოს მოსახლეობას?**

— თორმეტშიც, დღესაც და ხვალაც ქართველ ხალხს და ყველა აქ მცხოვრებს ვეტყვი: გონს მოვიდეთ, ძმებო! გაერთიანდეთ! რადგან ჩვენი ქვეყნის შვილების მომავალი ჩვენსავე ხელშია. ეს უნდა გავიცნობიეროთ ყველამ, ერმაც და ბერმაც.

ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში და მივხვდეთ, რომ ჩვენ ყველანი დები და ძმები ვართ; რომ ის, რაც ჩვენს შორის ხდება — ეშმაკისეულია, რომელიც ხშირად მოევლინება საქართველოს, მაგრამ, ღვთის მადლით, უკუქცეულა და განდევნილა. მოდი, განვაგდოთ ეშმაკი და სიკეთით გავერთიანდეთ.

ესაუბრა **კობა ლიკლიკაძე**

---

# ახლა უფრო დაფიქრების დროა

ნათქვამია, ჭკვიანია ის, ვისაც შეუძლია გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ბრძენი კი ის არის, ვინც არასოდეს ხვდება გამოუვალ მდგომარეობაში. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას სამეგრელოს რეგიონში არ შეიძლება ბრძნული ეწოდოს, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ბრძნული პოლიტიკა სხვაგანაც იშვიათი ფუფუნებაა. გასაკვირი უფრო ის არის, რომ ამ რეგიონში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაც კედლის თავით განგრევის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე ურთულესი ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზის არჩევას.

წინა ხელისუფლების უმთავრესი დანაშაულებრივი შეცდომა ის იყო, რომ ზოგადეროვნულიდან ის მხარდამჭერთა ხელისუფლებად იქცა. ამან უბედურება მოუტანა როგორც ხელისუფლებასა და მის მომხრეებს, ისე მთლიანად ქვეყანას. სამწუხაროდ ეს ტენდენცია დღესაც შეიმჩნევა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მან ამჯერადაც გაიმარჯვოს.

ხელისუფლებას მისი ქვეყნის ყველა მოქალაქის წინაშე ერთნაირი პასუხისმგებლობა აკისრია. ასევე ერთნაირად უნდა იყოს რეგლამენტირებული, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, მოქალაქეთა ქცევაც. სახელმწიფოსა და მოქალაქის, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესების ურთიერთმიმართებას ხელისუფლება კანონის საშუალებით უნდა არეგულირებდეს. დემოკრატიულ ქვეყნებში კონსტიტუციის შესაბამისად და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სახელმწიფო და მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორნი არიან, ხელისუფლება ვალდებულია განუხრელად დაიცვას ეს პრინციპი.

სამწუხაროდ ჩვენში, სახელმწიფოსთან გაიგივებული ხელისუფლების კანონზე უზენაესობის მავნე ტრადიცია ჯერაც დაძლეული არ არის. სხვა მიზეზებთან ერთად ესეც ძაბავს სამეგრელოს რეგიონში არსებულ სიტუაციას და აძნელებს პრობლემების გადაჭრას. ნათელია ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების ზეგავლენა საერთო პოლიტიკურ სიტუაციაზე ქვეყანაში და მისი განსაკუთრებული როლი მეზობელი რეგიონის — აფხაზეთის კრიზისის ოპტიმალური გადაჭრის საქმეში, როგორც დღეს, ისე პერსპექტივაზე გათვლით. ამდენად, ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები უფრო მოზომილი უნდა იყოს, ხოლო მოქალაქეთა მიმართ დამოკიდებულება უფრო დიფერენცირებული მათი მოქმედების ფორმების მიხედვით.

სამეგრელოს რეგიონში შექმნილი კონფლიქტის ახსნა ექსპრეზიდენტის მეგრული გვარით და (თუ) სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობის „იდეურ ზვიადისტებად“ წარმოჩენით აუბრალოებს, ასხვაფერებს პრობლემას და აძნელებს მის დროულად და სწორად გადაჭრას. ექსპრეზიდენტს ამ რეგიონში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერ კუთხეში, ჰყავს მომხრეები, შესაძლოა აქ რამდენადმე მეტი. მოსახლეობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილის უმრავლესობის განწყობას ამჟამად აქ განაპირობებს არა ექსპრეზიდენტის მხარდამჭერის სურვილი, არამედ დღევანდელი ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც აქვს გარკვეული საფუძველი.

კრიმინოგენული სიტუაციითაც გადაღლილი მოსახლეობის ამ ნაწილში ხელისუფლებას, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ჩაუტარებია პოლიტიკური მუშაობა. ამნისტირების მთელი სერია კი, რა თქმა უნდა, მოსახლეობას არ შეხებია და არც უნდა შეხებოდა, რადგან დანაშაული ჩადენილია არა მათ მიერ, არამედ მათ მიმართ.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ე. შევარდნაძემ თავის ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან არის დაშვებული გარკვეული შეცდომები სამეგრელოს რეგიონში (მიმართ). ალბათ, სწორედ ასეთ ვაჟკაცურ აღიარებაზეა ნათქვამი — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. თუ ასეთი რანგის პოლიტიკოსი მხოლოდ ახლა გაერკვა შეცდომებში (რაშიც ძნელია ეჭვი შევიტანოთ, რადგან ბატონ ედუარდს ჩვევია საკუთარი, მითუმეტეს სხვისი შეცდომების შემჩნევისთანავე აღიარება) ადვილი ასახსნელია ის დაბნეულობა, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობაში, რიგით მოქალაქეებში სუფევს. მოსახლეობა რომ გაერკვეს, ალბათ, საჭიროა ზემოაღნიშნული შეფასება ბატონ თავმჯდომარის მიერ დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს. თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი მაღალი რანგის ჩინოვნიკის მიერაც სამეგრელოში ოფიციალური შეიარაღებული ნაწილების მოქმედება შეცდომად იქნა შეფასებული, ოღონდ იმ მოტივით, რომ „ბოლომდე არ გადაუარეს“ ურჩებს.

საქართველოში ძნელად თუ იმალება რამე და სამეგრელოს მოსახლეობისათვისაც ცნობილი გახდა ის პრინციპულად ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში აქ შექმნილი კრიზისული ვითარების განხილვის თუ სიტუაციის განმუხტვის ოპტიმალური გზების შერჩევისას რომ გამოითქმის. ალბათ ამის ანარეკლია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სამეგრელოს რიგ რაიონებში ძნელად, მაგრამ მაინც მოხერხდა ბ-ნ ე. შევარდნაძისადმი მხარდამჭერი ხელმოწერების გარკვეული რაოდენობის შეგროვება.

პრობლემის გადაჭრაში არსებითი როლი შეიძლება ითამაშოს ქვეყანაში შექმნილმა სწორმა საზოგადოებრივმა აზრმა. ამ აზრის ჩამოყალიბებაში კი გადამწყვეტი როლი საინფორმაციო საშუალებებს ეკუთვნის. ნახევარი სიმართლე სიცრუეზე უარესია — ეს ფრაზა ალბათ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში თუ ისინი ვინმეს შიშით ან რიდით სიმართლეს ბოლომდე არ (ვერ) ამბობენ, მაშინ საერთოდ გაჩუმება სჯობს, რადგან შექმნილი არაადეკვატური საზოგადოებრივი აზრი სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ხელს უშლის საკითხის სასიკეთოდ მოგვარებას.

რაც შეეხება კრიმინოგენულ სიტუაციას, დივერსანტებისა და ყაჩაღების მიერ როგორც სახელმწიფოსათვის მთლიანად, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი მეტად დიდია. მთავრობას შედარებით ადვილად მიუწვდება ხელი დამნაშავეთა იმ ჯგუფების წარმომადგენლებზე, რომლებიც ოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში ჩადიოდნენ დანაშაულს ან ამ ფორმირებებს ჩამოუყვნენ და მათი სახელით მოქმედებდნენ რეგიონში. პირველ რიგში უნდა მოხდეს სწორედ მათი დაკავება და გასამართლება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სამეგრელოში ოპერატიული (პოლიციის მეშვეობით) ღონისძიებების გატარება მძარცველებისა და ბანდიტების უვნებელსაყოფად. თუ დაირღვა აღნიშნული თანმიმდევრობა და (ან) კვლავ მოხდა უკვე მერამდენედ ოფიციალური შეიარაღებული ნაწილების შეყვანა ამ რეგიონში (რაც დაუშვებელია) მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის და ბანდიტიზმის აღკვეთის მიზნით (ოფიციალური ვერსია), მოსახლეობის მიერ ეს აღიქმება მორიგ ეგზეკუციად, რასაც კვლავ მოჰყვება კონფლიქტის გამწვავება და გაღრმავება, კრიმინოგენული სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრება, რაც კვლავ ოფიციალური შენაერთების იქ ყოფნას დაემთხვევა. ძნელი წარმოსადგენი არ არის ადგილობრივი მოსახლეობის რეაქცია, თუ ამ შენაერთებში კვლავ იქნებიან ის პირები, რომლებიც ადრეც იყვნენ მძიმე დანაშაულებში როგორც შემჩნეულნი, ისე მხილებულნი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მოსახლეობის მიმართ აქ ჩადენილი დანაშაულისათვის (სიცოცხლის და ქონების ხელყოფა) უპირველეს ყოვლისა უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც მოსახლეობის მიერ აღიქმება როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი (ოფიციალური თუ არაოფიციალური).

სამწუხაროდ, დღემდე მუნდირის ღირსების დაცვის თუ სხვა მიზეზთა გამო არ დასჯილა არცერთი დამნაშავე. ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებრიობისთვის ასეთი ფაქტი უცნობია.

რაც შეეხება ადრე გვარდიის შემადგენლობაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებისადმი დამოკიდებულებას, თუ სადაზვერვო ბიურო შეძლებს იქ მოკალათებული (ალბათ მცირერიცხოვანი) უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტების მხილებას და ნეიტრალიზებას, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დანარჩენები კვლავ შეძლებენ სამშობლოს — საქართველოს სამსახურში ჩადგომას.

ამ წერილში შეგნებულად არის გამახვილებული ყურადღება ძირითადად ერთი მხარის — ხელისუფლების მოქმედებაზე, რადგან ქვეყნის მართვა პირველ რიგში პასუხისმგებლობას ნიშნავს და მხოლოდ შემდეგ უფლებებსა თუ პრივილეგიებს. ხელისუფლებას, როგორც ასეთს და მის ოფიციალურ წარმომადგენელს, კერძოდ, ბევრად მეტი მოეთხოვებათ, ვიდრე რიგით მოქალაქეს ან მოქალაქეთა ნებისმიერი სიდიდის გაერთიანებას.

ერთი სიტყვით, სამეგრელოში მოსახლეობის ლოიალურ განწყობას და გარკვეულ ნდობას ხელისუფლება მოიპოვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ერთნაირი დანაშაულისთვის ერთნაირი სიმკაცრით და ერთნაირი გარდუვალობით, კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისჯება ნებისმიერი მოქალაქე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი თუ მომხრე, ისე მისი მოწინააღმდეგე.

ის, თუ როგორ და რა გზით განვითარდება მოვლენები ქვეყანაში შემდგომი 5—6 თვის განმავლობაში, ბევრად განსაზღვრავს არამარტო მომდევნო წლის პოლიტიკურ სიტუაციას, არამედ საქართველოს ბედს უახლოეს მომავალში. მართლაც რომ „ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია“. დაფიქრება მართებს ორივე მხარეს, დიდსა თუ პატარას, ყოველ ჩვენთაგანს.

გაიოზ როგავა

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი თამლიანი:

# არჩევნების ჩაუტარებლობა უფსკრულს უფრო გააღრმავებს...

გიორგი დავითის ძე თამლიანი დაიბადა მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში 1955 წელს. დაამთავრა ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა. 1985 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით.
ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1973 წელს. ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან. ავრცელებდა არალეგალურ თვითგამოცემით ლიტერატურას... იყო 1978 წლის 14 აპრილს გამართული ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი საპროტესტო აქციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.
1980 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ორგანიზება გაუკეთა აფხაზეთში ქართველთა დევნა-შევიწროების საწინააღმდეგო სტუდენტურ აქციას, რის გამოც დააპატიმრეს...
დაარსების დღიდან არის საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი. ჰყავს ოჯახი.
ბატონი გიორგი თამლიანი კენჭს იყრის № 8 (სამეგრელოს) საარჩევნო ოლქში.

**— ბატონო გიორგი, თქვენ კენჭს იყრით სამეგრელოს ოლქში. თუ შეიძლება, ...ლედ გვიამბოთ, როგორი ვითარებაა იქ და როგორია იქაური მოსახლეობის განწყობილება არჩევნებთან დაკავშირებით?**

პირდაპირ გეტყვით, ვითარება იმდენადაა დაძაბული, რომ შეიძლება ყოველივე ამან ფეთქებადი ხასიათი მიიღოს. ბოლო პერიოდში იქ დატრიალებულმა ამბებმა ჩემი საფიქრალი სამეგრელოს რეგიონში შექმნილი პრობლემით შემოფარგლა. აქ შექმნილი სიტუაცია არ არის ლოკალური ხასიათის და ამდენად, ძალზე ძნელია სტაბილიზაციისათვის გზების ძიება.

იმ დროს, როდესაც მტერი კარსაა მომდგარი, უხერხულია ილაპარაკო და არკვიო ვინაა ამ საქმეში დამნაშავე... მაგრამ ფაქტია, რომ ჩადენილ იქნა ხელისშემძვრელი დანაშაული და არა ერთი და ორი, თანაც ქართველების მიერ... რასაც მოჰყვა ადგილობრივი ფორმირებების პასუხი და ასეთივე სასტიკი. მიმაჩნია, რომ დამნაშავეა ის მხარე, რომელმაც პირველმა აღმართა ხელი თანამემამულის წინააღმდეგ, ამაში ჩვენც დამნაშავენი ვართ, დიდი თუ პატარა.

რაც შეეხება არჩევნების ჩატარებას, აქ ვფიქრობ, რომ დიდი დაფიქრება გვმართებს თითოეულ ჩვენთაგანს და განსაკუთრებით მათ, ვინც უკმაყოფილოა დღევანდელი მთავრობით. ერთ რამეში კი ყველა უნდა შევთანხმდეთ, რომ არჩევნების ჩაუტარებლობა უფსკრულს კიდევ უფრო გააღრმავებს. მე მჯერა, რომ შედეგებით ყველა კმაყოფილი იქნება, თუ ჩვენ ამ უმნიშვნელოვანეს და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს ყოველგვარი ამბიციების გარეშე შევხედავთ და სწორ არჩევანს გავაკეთებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ სამეგრელოს რეგიონში გამოიჩენენ კეთილ ნებას და არჩევნები ჩატარდება.

**— რამდენადაც ვიცი პრეზიდენტყოფილის მომხრეები სანდო კაცად მოგიხსენებენ, რით დაიმსახურეთ ეს ნდობა და რას იტყვით, რას წარმოადგენენ ეს ადამიანები?**

დავიწყებ იმით, რომ ზვიად გამსახურდიას ვიცნობ დაახლოებით 18 წელია. მასთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ როგორც „ბარიკადებზე", ისე საქმიან მოგზაურობებში, საქართველოს მრავალ კუთხეში. იყო დრო, როდესაც „კოლხური კოშკი" და ჩემი ბინა იმ ორ ათეულ ქართულ ოჯახთან ერთად იჩხრიკებოდა და ილეწებოდა.

გავიდა დრო და ჩვენს ურთიერთობაში „ბზარი" გაჩნდა ე.წ. „მრგვალ მაგიდაში" მოკალათებულმა ზოგიერთმა მედროვემ და შემდეგ მოღალატემ, რომელთაც პირველივე დღეებიდან დაიწყეს ჯანსაღი აზრის დევნა. მოკლედ, ბოლოს მაგიდასთან დარჩნენ უმეცარნი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა)... დიახ, მე ცოტა გადავუხვიე. რაც შეეხება ნდობას, მე მიცნობს გამსახურდიას მომხრეთა ის ნაწილი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობდა სამთავრობო კომისიებში როგორც არჩევნებამდე, ისე მის შემდეგაც. ალბათ ისინი თვლიან, რომ ჩემთვის ქართველი ჯერ თანამემამულეა და შემდეგ ვიღაცის მომხრე.

გულწრფელად გეტყვით თუ რას წარმოადგენენ ე.წ. ზვიადისტები: ისინი ჩვენი დები და ძმები არიან. ეს ხალხი, როგორც საზოგადოების ყველა ნორმალური წევრი, ისევე ცხოვრობს, სტკივათ და უხარიათ, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს. მე მეჩვენება, რომ მათ მოაკლდა ჩვენი სითბო და თანადგომა. მიმაჩნია, რომ არავითარი „იზმი" და „ისტი" არ არსებობს. ეს მტრების ან ბრიყვების მიერ მოგონილი სიტყვებია და კიდევ, რაც მთავარია, ნუ გვგონება თავი ყველაფერში მართალი, თორემ ცოდვები დაგვამძიმებენ...

**— რას გვეტყვით სამაჩაბლოსა და აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე?**

იცით რა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემა იმდენად რთული, წინააღმდეგობრივი და კატასტროფულია, იმდენი შეცდომებია დაშვებული ამ რეგიონებში ორჯონიკიძიდან მოყოლებული დღემდე, რომ ინტერვიუს ფარგლებში თავს ნებას ვერ მივცემ ზერელედ და ზედაპირულად გიპასუხოთ. ეს პრობლემები მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების აქილევსის ქუსლია და მათ განსაკუთრებული მიდგომა ესაჭიროებათ.

ერთს დავსძენ, ჩვენ უნდა ბოლომდე გავიცნობიეროთ, რომ ქართველებს საერთო მტერი გვყავს, რომელსაც მხოლოდ ჩვენი ერთიანობა და სიმამაცე დაამარცხებს.

**— დღეს რომ 12 ოქტომბერი ყოფილიყო და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ, რას ეტყოდით ამომრჩევლებს?**

თქმა და შეპირება, იცოცხლე არ აკლია ამომრჩევლებს. ვფიქრობ, სჯობს არაფერს შეჰპირდე და საქმის ნახევარი მაინც გააკეთო. მინდა, დავარწმუნო ამომრჩევლები იმაში, რომ ჩემი სახით მათ ჰყავთ ის კაცი, რომელიც ბოლომდე პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

მართალი გითხრათ, ჩემი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის სურვილი საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო კომისიამ გამოთქვა სამეგრელოში მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ, რომელშიც მე საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდი. ცნობისათვის გეტყვით, რომ მოლაპარაკებები წარმოებდა მძევლების გამოცვლასთან დაკავშირებით. მოლაპარაკების დროს იყო იმედის გაცრუებაც, წარუმატებლობაც, იყო წარმატებაც და რაც მთავარია, ჩვენს შორის (იგულისხმება როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ძალები) ჩამოყალიბდა ურთიერთნდობის ატმოსფერო. აი, ეს არის ყველაზე იმედისმომცემი. მინდა ვისურვო და ამომრჩევლებსაც ვუსურვო, ეს ნდობის ფაქტორი კიდევ უფრო გაძლიერდეს და გადაიზარდოს სრულ ეროვნულ თანხმობაში.

ესაუბრა
**კობა ლიკლიკაძე**

---

(დასასრული)

...ნოთ და ვიკითხოთ ის სიყალბე, ...ქონდა „სამშვიდობო ფორმირე-... ამყარებდნენ წესრიგს რეგიონ-...ს სრული სიცრუეა.
...ოსი და რუსი ოკუპანტები გამ-...ბით ანგრევენ და შლიან ტაძ-...; აფეთქებულია გერის წმინდა ...გი, დამწვარია დვანის სამებისა ...მინდა გიორგის ეკლესიები, წაბი-...ლია და გაძარცულია ოქონის და ...ვის ღვთისმშობლის ეკლესიები ...მ.
...განსაკუთრებით დიდი ზიანი ...ბა ტყეებს, ისინი იჩეხება უმო-...ოდ, განადგურებულია ქარ-...ი სოფლების გარშემო მყოფი ...ს კორომები, რომლებიც ...ს გააქვთ ვლადიკავკაზში გა-...დად.
...ჩვენ გვესმის აფხაზეთში შე-...ლი რთული ვითარება, რომ-... დადებითად გადაწყვეტა ...ნი მხრიდან დიდ ძალისხმე-...მოითხოვს, მაგრამ ჩვენს რე-...ში მიმდინარე მოვლენებმა ...მინების ფიალა აგვივსო. ამას ...ო უნდა მოელოს. ყველაფერი ...კიდებულია თქვენზე, ბატო-...დუარდ.
...ზემოაღნიშნულიდან გამომ-...რე მოვითხოვთ:

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნას ცხინვალის რეგიონიდან უცხო სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ფორმირებები.

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს, გაზეთ „საქართველოს" რედაქციას

2. ამ ტერიტორიაზე შეყვანილ იქნას საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარები, საქართველოს არმიის ნაწილებმა კი გააკონტროლონ საქართველო-რუსეთის საზღვარი როკის გვირაბთან, რათა შეწყდეს იარაღის შემოტანა და აღდგენილ იქნას ჩვენი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე.

3. სასწრაფოდ შეიქმნას მილიციის სპეცდანიშნულების დანაყოფები, რომლებიც იმუშავებენ იარაღის ამოღებაზე და წესრიგს დაამყარებენ რეგიონში.

4. მოხდეს ქართველ ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება (ოსები უკვე დაბრუნდნენ) და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

5. აღდგენილ იქნას ქართული სკოლები და სხვა საგანმანათლებლო სასწავლებლები, ქართველმა ბავშვებმა დაიწყონ სწავლა. (ოსები უკვე სწავლობენ).

6. ქ. ცხინვალსა და ყველა სოფელში ორგანიზებული იქნას საარჩევნო უბნები, სადაც ჩვენ შევძლებთ დემოკრატიულად გამოვხატოთ ჩვენი ნებასურვილი და ხმა მივცეთ ღირსეულთ ღირსეულთა შორის.

7. დაბრუნებულ მოსახლეობას გაეწიოს ეკონომიკური და ფინანსიური დახმარება, რათა შეძლოს ამ საშინელ პირობებში გამოზამთრება.

8. დაიჩქარდეს ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე რაიონების სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნული მოთხოვნები აქამდეც უნდა შესრულებულიყო, მაგრამ რაღაც შავბნელი ძალები ამ პროცესს ამუხრუჭებენ. ვიმეორებთ: არავითარი პრობლემა არ არსებობს, მითუმეტეს, რომ ეს დაგომისის ხელშეკრულებაშიც არის გათვალისწინებული.

მოვითხოვთ სასწრაფოდ შესრულებული იქნას ზემოაღნიშნული პუნქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვითონ ავიღებთ ჩვენს თავზე ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეს და თუ კიდევ ერთხელ დატრიალდა ტრაგედია, პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ პირადად თქვენ და სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრს.

ვ. ნადირაძე
გ. დვალი
ი. ბუზალაძე
ბ. მესხი
რ. ოტიკაძე
ა. ბებიაშვილი
თ. ჩილინდრიშვილი

**სულ 3000-ზე მეტი ხელმოწერა**

# რუსეთში ღვინის სმა აკრძალულია ანუ რა ხდებოდა მოლაპარაკების კულისებში

ოთარ ჯანელიძე

ვინც თვალს ადევნებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, დაგვეთანხმება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი დაიწერა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, კერძოდ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ. ვინმეს იქნებ ზედმეტადაც მოეჩვენოს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება, მაგრამ სინამდვილეში ეს საკითხი სრულიადაც არ არის ამოწურული და იგი შემდგომ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად ახალი ხელშეკრულება მზადდება, წარსულის გამოცდილება კი, ვფიქრობთ, სასიკეთოდ წაადგება საქმეს.

წინამდებარე წერილი ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, როგორ და რა ვითარებაში დაიდო 7 მაისის ხელშეკრულება, ანუ რა ხდებოდა მოლაპარაკების კულისებში.

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წელთაღრიცხვა 1918 წლის 26 მაისს დაიწყო. ახლადშექმნილმა სახელმწიფომ თავი ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა, რაც, ბუნებრივია, საერთაშორისო ომიანობაში ჩაურევლობისა და დანარჩენ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილს გამოხატავდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზობელ ქვეყნებთან, პირველ რიგში კი საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთი წყენით შეხვდა. ცალკეულმა ბოლშევიკმა ლიდერმა, მათ შორის ვ. ულიანოვ-ლენინმა დასცინა ამ დამოუკიდებლობას. „საქართველოს... დამოუკიდებლობა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ“ აცხადებდა პროლეტარიატის ბელადი და რუსეთის სახელმწიფო მეთაური. საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით აიხსნება ის, დიპლომატიის ხანგრძლივი ისტორიისათვისაც კი უცნობი, აბუჩად აგდება და ქედმაღლური დამოკიდებულება, რასაც მოსკოვის ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენდნენ საქართველოს დიპლომატიური მისიისადმი. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ყოველივე, რაც მოთხრობილია მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დანიშნულ გ. ხუნდაძის 1920 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „საბჭოთა ხელისუფლება და ქართული საელჩო რუსეთში“.

ბოლშევიკურ რუსეთს პირველ წლებში საქართველოში ოფიციალური წარმომადგენელი არ ჰყოლია. ამ „მისიას“ ასრულებდა ჯერ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნული ს. შაუმიანი, ხოლო ინგლისელების მიერ ბაქოელ კომისრებთან ერთად შაუმიანის დახვრეტის შემდეგ ს. ორჯონიკიძე. როგორც შაუმიანი, ისე ორჯონიკიძე ცნობილი რევოლუციონერები იყვნენ. ორივე მათგანს ბოლშევიკურ და მუშათა წრეებში დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული. საქართველოსადმი მიმართებაში კი მათ უმთავრეს დანიშნულებას ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი ძირგამომთხრელი საქმიანობა შეადგენდა, რისთვისაც მოსკოვი უხვად ამარაგებდათ ოქროთი და იარაღით. მოსკოველ ემისრებს საქართველოში მრავალრიცხოვანი აგენტები გააჩნდათ ადგილობრივ ბოლშევიკებისა და სხვათა სახით, რომლებიც ვერა და ვერ ურიგდებოდნენ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას და სახელმწიფოს სათავეში თავიანთი ნაფიცი მტრების სოციალ-დემოკრატ-მენშევიკების ხილვას.

ლენინი და საბჭოთა რუსეთის მთელი ხელისუფალნი ესწრაფოდნენ საქართველოს გასაბჭოებას და ამ გზით მის კვლავ რუსეთთან დაბრუნებას, მაგრამ რაკი ჯერ სამისოდ ძალა არ შესწევდათ, ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გამო, აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ. ლენინი 1918 წლის მაისში საგანგებოდ აფრთხილებდა ს. შაუმიანს: „გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწყვეტილების გაჭიანურება, სანამ არ გაძლიერდებით სამხედრო თვალსაზრისით“. ასპარეზი ჯერ დიპლომატიას ეთმობოდა, ხოლო თუ ეს გზა არ გაჭრიდა, გადამწყვეტი სიტყვა ძალას უნდა ეთქვა.

ამოიცნეს თუ არა რუსეთის ხელისუფალთა ეს განზრახვა და მიზანდასახულება საქართველოში? სამწუხაროდ, ვერა. ყოველ შემთხვევაში, ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში მოსკოვს ორი ტენდენცია ჰქონდა: ერთი პოლიტიკური და მეზობლური, მეორე იმპერიალისტური. თითქოს ამ უკანასკნელს მეთაურობდნენ ტროცკი და სტალინი, პირველს კი ლენინი (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 117). საარქივო და სხვა დოკუმენტური მასალით დადასტურებული მოვლენათა შემდგომი განვითარება მოწმობს, რომ ნ. ჟორდანიას ეს შეხედულება მცდარი იყო. გარკვეულ დრომდე ლენინის მართლაც თავშეკავებული დამოკიდებულება საქართველოსადმი მხოლოდ ტაქტიკური ხასიათისა იყო, თორემ პრინციპში საქართველოს გამოყოფა ისევე მიუღებელი იყო ლენინისათვის, როგორც ცარიზმისა და დროებითი მთავრობისათვის, ან თუ გნებავთ, თეთრგვარდიელი რუსი გენერლებისათვის, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ მის ცნობა-აღიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ვერსალის საზავო კონფერენციას, რომელსაც საქართველოს წარმომადგენლობაც ესწრებოდა. მაგრამ ეს დიდი პოლიტიკური თავყრილობა ისე დამთავრდა, რომ იქ ჩვენთვის სასიკეთო ბევრი არაფერი თქმულა. ამ მდგომარეობამ, ნ. ჟორდანიას სიტყვით, ცხადი გახადა „საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა“.

მართლაც, 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას დავალებით მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. მისი შერჩევა ამ მისიისათვის მხოლოდ ერთმა გარემოებამ განაპირობა: „დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი“ (ნ. ჟორდანია). გ. ურატაძე სოციალ-დემოკრატთა სტოკჰოლმისა და ლონდონის კონგრესის მონაწილე იყო, ხოლო ლენინს ჯერ კიდევ 1911 წლიდან იცნობდა, როგორც ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მსმენელი.

გ. ურატაძე არ ყოფილა დიპლომატი. მას ამ საქმეში არათუ პროფესიონალური მომზადება, რაიმე პრაქტიკული გამოცდილებაც კი არ გააჩნდა. ამიტომ გაკვირვებას იწვევს, როგორ იდო თავს მან ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიცაა ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ჩვეულებრივ, ამგვარი დოკუმენტის გაფორმებას წინ უსწრებს პროფესიონალ და კომპეტენტურ პოლიტიკოსთა, იურისტთა, სამხედრო საქმის სპეციალისტთა და სხვათა მრავალმხრივი მუშაობა. გაოცებულნი დარჩნენ რუსი დიპლომატები, როცა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური მიღების დღეს დარბაზში ჩიჩერინის, კარახანის, მდივნებისა და მემანქანეთა მთელი შტატის წინაშე „რუხი ბლუზით და ჩექმებით“ მარტოდმარტო წარსდგა გ. ურატაძე. საარქივო ცნობის თანახმად, მოსკოველთა შეკითხვაზე: სად არის საქართველოს დელეგაციაო, გ. ურატაძეს უპასუხია: „მე ვარ დელეგატი და სხვა არავინ მოსულაო“. იმავე ცნობაში ვკითხულობთ: „გაკვირვება იმით იყო თურმე გამოწვეული, რომ მოსკოვი ჩვეული ყოფილა პატარა „ბურჟუაზიული“ ქვეყნებიდან, როგორიც მაგ.: ლატვია, ლიტვა, ესტლანდია და სხვა, დიდძალი შტატებიანი მრავალრიცხოვანი დელეგაციების მიღებას. 30 კაცზე ნაკლები არც ერთი დელეგაცია არ ყოფილა. ასევე მოელოდნენ თურმე „ბურჟუაზიული“ საქართველოდანაც. როცა დაინახეს, რომ ერთი კაცია საქართველოდან მოსული, მათაც თავის მხრივ ერთი კაცი დანიშნეს, სახელდობრ, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე კარახანი“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, პარიზის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 753). (აქვე შევნიშნავ: მართალია, რუსეთის მხრიდანაც მოლაპარაკებას ოფიციალურად ერთი კაცი — ლ. კარახანი აწარმოებდა, მაგრამ იგი გამუდმებით ღებულობდა ინსტრუქციებს ლენინის, ჩიჩერინისა და მთელი პოლიტბიუროსაგან. ცხადია, ამგვარ შესაძლებლობას გ. ურატაძე მოკლებული იყო).

წასვლისას გ. ურატაძეს მთავრობის თავმჯდომარემ მისცა განაწესი, რომლის თანახმადაც საქართველოს წარმომადგენელს უნდა მოეთხოვა რუსეთის მხრივ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება და საზღვრების ხელშეუხებლობა. ყველა დანარჩენი საკითხი, ნ. ჟორდანიას სიტყვით, იყო მეორეხარისხოვანი და შეიძლებოდა მოლაპარაკების გზით გადაჭრილიყო.

მოსკოვის მოლაპარაკება პირველი დღიდანვე მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მოლაპარაკებისას გ. ურატაძემ უმთავრეს საკითხად წამოაყენა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ცნობა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, რაზეც მაშინვე მიიღო თანხმობა. სახელმწიფო საზღვრების გამოკვლევის დროს, როგორც ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნ. ქარცივაძის ხელმოწერილ ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, „ურატაძეს უთქვამს, რომ ამ კითხვაში ჩვენს შორის წარმოუდგენელია დავა, ვინაიდან ერთ ნაჭერ მიწის გარშემო ჩვენ კამათს არ გავაგრძელებთ, ისე კი, იმედი გვაქვს, რომ უზარმაზარი სივრცის პატრონი რუსეთი პატარა საქართველოს არ დაჩაგრავს ამ საკითხშიო. ამ განცხადებას ისეთი გავლენა მოუხდენია, რომ ისინი ეჯიბრებოდნენ თურმე ჩვენს წარმომადგენელს თავაზიანობასა და დემოკრატიაში და არათუ მიიღეს ჩვენს მიერ გავლებული ხაზი, [illegible] მათ ჩვენს მოთხოვნას გადააჭარბეს კიდეც და მდინარე ფსოუ აღნიშნეს საზღვრად“. იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკურ საკითხშიც ურთიერთ უპირატესობის პრინციპი მიუღიათ ასევე უდავოდ, „თუმცა საქონლის თავისუფლად გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოლაპარაკების დროს ჰქონია ადგილი ასეთ დიალოგს:

„ — რა გაქვთ თქვენ რუსეთში შემოსატანი? — ეკითხავს კარახანს.

— პირველ ყოვლისა, ღვინო. — უპასუხნია ურატაძეს.

— ღვინის სმა რუსეთში აკრძალულია.

— ჩვენ გვაქვს ტყე.

— მთელი რუსეთი ტყე არის.

სიცილით უთქვამს კარახანს და თან დაუმატნია: არა უშავს, თქვენ გაიტანეთ, რის გატანასაც მოახერხებთ რუსეთიდან და შემდეგ გავისწორდებითო“ (საქ. ცსია, პარიზის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 753).

საზავო მოლაპარაკების მსვლელობისას გ. ურატაძისათვის კერძო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ და ჩვენს ჯარებთან ომს აწარმოებდნენ. საქართველოს წარმომადგენელს, როგორც თვითონ იგონებს, მიუმართავს ლენინისათვის და განუცხადებია, რომ თუ იგი არ მოახდენდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკებას თავს გაანებებდა. ლენინს უპასუხია, რომ ამის შესახებ არაფერი იცის, ხოლო „ჭორებმა არ უნდა შეუშალოს ხელი მოლაპარაკებასო“.

ეს რომ ჭორი არ იყო და სინამდვილეს შეესაბამებოდა, ლენინს იმ დეპეშებიდანაც მოეხსენებოდა, ს. ორჯონიკიძემ ბაქოდან რომ გაუგზავნა: „რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვა“. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა რუსეთს უკვე მიღებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ოფიციალური ნოტა. პირველი ნოტა კატეგორიულად უკუგდებდა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება კავკასიასა და ბაქოში მყოფი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების ზოგიერთი აგრესიული ნაბიჯი საქართველოს მიმართ, ხოლო შემდეგ ნოტაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა რუსეთის წითელი ჯარის 287-ე და 288-ე პოლკები.

ყოველივე ეს, ცხადია, საქართველოდან მოსკოვში გ. ურატაძის სახელზეც გაიგზავნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ გადასცეს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა დაინახა, რომ შეუძლებელია საქართველოს „ერთი დაკვრით გაწმენდა“ (ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს შემოჭრილი მტრის ნაწილები), ს. ორჯონიკიძეს ებრძანა შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები და უკან დაეხია.

მოლაპარაკება გაგრძელდა. 5 მაისს გ. ურატაძემ თბილისს გადასცა საზავო ხელშეკრულების ტექსტის პროექტი, რომელმაც „საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“, მაგრამ იყო რამდენიმე საყოყმანო მუხლი, კერძოდ, მესამე, რომლითაც რუსეთი მოითხოვდა საქართველოს დაეცვა მტკიცე ნეიტრალიტეტი და თავის საზღვრებში არ მიეცა ადგილი რუსეთის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისა და მასთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისათვის. მუხლის ამგვარი ფორმულირება მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის, რადგან იგი ანტანტის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას ზღუდავდა. პროექტში შეტანილ იქნა შესწორება ისეთნაირად, რომ „საბჭოთა რუსეთსაც მტკიცე გარანტიები მივანიჭეთ ჩვენის მხრით ყოველგვარის აგრესიობის აღკვეთისა და მეორე მხრით, სავსებით დავიცავით ჩვენი სრული ნეიტრალობა და სუვერენობა და შევინახეთ თავისუფლება ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში“. აღნიშნულია საქართველოს საგარეო სამინისტროს ერთ-ერთ იმდროინდელ ბიულეტენში.

სანამ თბილისიდან ამ შესწორებებს გადასცემდნენ, პირდაპირი მავთული გაფუჭდა. იძულებული შეიქმნენ ეს ვრცელი შესწორებები შიფრით გადაეცათ რადიოს საშუალებით, რამაც დიდი დრო მოითხოვა. გ. ურატაძეს არ დაუცდია შესწორებების მიღებისათვის და 7 მაისს, ღამის 12 საათზე, ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

საქართველოში დაბრუნებულმა ურატაძემ, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის გაკეთებულ მოხსენებაში, ხელშეკრულების ხელმოწერაზე თავისი აჩქარება შემდეგნაირად ახსნა: მას თურმე „მოსკოვში აჩქარებდა იმის შიში, რომ პოლონეთთან ომის გარდაუვალობის გამო სამხედრო და საგარეო საქმეთა ხელმძღვანელნი, რომელთაგანაც უმთავრესად დამოკიდებული იყო ჩვენთან საზავო მოლაპარაკება, იძულებულნი იქნებოდნენ მოსკოვიდან წასულიყვნენ ფრონტისაკენ და ეს გააჭიანურებდა მოლაპარაკებას. შემდეგ შესაძლო იყო პირობები შეცვლილიყო და ჩვენთვის ხელსაყრელი გარემოებები ჩვენდა საზიანოდ მოქცეულიყო. ამას გარდა მოსკოვს ჩამოდიოდნენ იმ დროს სომხების და თურქების დელეგატები და შესაძლო იყო, თუ მოლაპარაკება სასწრაფოდ არ დასრულდებოდა, საზღვრების გამოკვლევის დროს მათ ჩვენთვის ხელი შეეშალათ“ (დასახელებული საარქივო საქმე, № 753).

გ. ურატაძის სიტყვით, „მოსკოვს ყველა წრეები საქართველოსთან ზავს დიდის აღტაცებით შეხვდნენ“. საარქივო ცნობის თანახმად „დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენს წარმომადგენელს ოქრო არ მოუთხოვნია. სხვა ყველა დელეგაციები თურმე მოლაპარაკებას ოქროს მოთხოვნით იწყებდნენ“ (მართლაც, ხელშეკრულებით ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას

იღებდა თითოეულ ამ სახელმწიფოსათვის მიეცა [illegible]
როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა სა
შვიდობო ხელშეკრულებას? აი, რა
წერს ამასთან დაკავშირებით საქართვე
ლოს საგარეო მინისტრის მოადგილე
ქარცივაძე: „რუსეთთან ზავის ხელ
მოწერამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილე
მოახდინა. ხალხი გამხნევდა და დამო
კიდებლობის დაცვისაკენ მისწრაფე
ბური გაცხოველდა. მთავრობის მდგ
მარეობაც განმტკიცდა. მოხდა დამფუ
ნებელი კრების საგანგებო სხდომა, რ
მელიც ერთხულოვანის კმაყოფილებ
შეეგება რუსეთთან ზავს. ქალაქი
დღეს ბაირაღებით მორთო და ზარბ
ზანმა 21-ჯერ გაისროლა. ქუჩებს სა
ღესასწაულო ელფერი ჰქონდა. საქარ
ველოს ყველა კუთხიდან მოგვდის ცნ
ბები, რომ ხალხი ყოველგან დიდის ს
ამოვნებით ეგებება ამ ცნობას... მოკავშ
რე სახელმწიფოთა წარმომადგენლ
ზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდ
რუსეთთან ზავმა და ჩვენი ავტორიტეტ
გაიზარდა მათ თვალში“.
ეს ყველაფერი სიმართლეა. გარკ
ნული ეფექტი ხელშეკრულებისა, მარ
თლაც, დიდი იყო. ამ ხელშეკრულებ
როგორც საერთაშორისო სამართლ
რივმა დოკუმენტმა, მნიშვნელოვნ
შეუწყო ხელი საქართველოს დამოუ
დებლობის იურიდიულ აღიარებას
რობის უდიდესი სახელმწიფოების მ
ერ, მაგრამ თავად ბოლშევიკურ რუს
თთან ურთიერთობა ვერ მოაწესრი
საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების ზ
გიერთი მუხლი, რომელიც იმთავით
ბუნდოვანი იყო, შემდეგშიც განუწყ
ტელი ურთიერთპრეტენზიების საფ
ველს წარმოადგენდა, ვიდრე რუსე
საერთოდ არ დაარღვია ხელშეკრუ
ბა, რისთვისაც 1921 წ. თებერვალში ძ
ლადობით გაასაბჭოვა საქართველო.
პროფესიონალი დიპლომატი ა
ვილად შეამჩნევს ხელშეკრულების
რვეხს. ცნობილი გამოჩენილი 1920 წლი
მაისს პირდაპირი მავთულით საუბ
სას გ. ურატაძეს უჩვენებდა: „თქვ
მიერ გამოცემული ტექსტი ტოვ
სიგელის შთაბეჭდილებას და არა ხე
შეკრულებისა ორ თანასწორ მხა
შორის. ამიტომ შეიტანეთ ნაცვლად
პრინციპიო“. სამწუხაროდ, უკვე გვ
იყო. იგივე ე. გეგეჭკორი საქართვე
დიპლომატიურ წარმომადგენლთა
განკუთვნილ ერთ-ერთ წერილში აღნ
ნავდა: „რუსეთთან საზავო ხელშეკრუ
ბის ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმა
ფილებს. ჩვენ ვეცდებით რატიფიკაცი
დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძ
ბელ კრებას და რომელიც უთუოდ უ
მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახ
შეძლებისდაგვარად ჩვენ სასარგებ
შევცვალოთ მათი რედაქციაო“.
1920 წლის 7 მაისის ხელშეკ
ლების რატიფიცირება არ მომხდ
რადგან დოკუმენტი მასზე ხელის მო
რის მომენტიდან „თვით ფაქტის
ლით“ შევიდა ძალაში.
როგორ მოხდა, რომ ორ სუვე
ნულ სახელმწიფოს შორის ურთი
თობის განმსაზღვრელ ისეთ მნიშ
ლოვან დოკუმენტს, როგორიცაა ს
ვო ხელშეკრულება, ხელი მოაწე
არა ამ სახელმწიფოთა მეთაურებმ
დიპლომატიური სამსახურების ხე
ლძღვანელებმა, არამედ გაცილებით უ
დაბალი (ყოველ შემთხვევაში საქა
ველოს მხრიდან მაინც) რანგის მო
წეებმა? 1783 წლის გეორგიევსკის ტ
ქტატი აქ ანალოგად არ გამოდგებ
ლგან საყოველთაოდ ცნობილია, რ
თავიანთი წარმომადგენლების გ. ჭ
ვაძის, ი. მუხრანბატონის და პ. პოტ
მკინის შემდგომ სარატიფიკაციო
ლებს ხელი მოაწერეს ერეკლე მე
და ეკატერინე მეორემ.
1920 წლის 7 მაისის ხელშე
ლების რატიფიკაციაზე ამტკიცებდა ი
საქართველოს დემოკრატიული რეს
ლიკის ხელისუფლებაც, მაგრამ ხსე
ლი დოკუმენტი მასზე ხელისმოწ
დღიდანვე, რატიფიცირების გარეშ
ვიდა ძალაში. ამით საერთაშორისო
მართლის ნორმა არ დარღვეულა,
გან ეს სამართალი იცნობს სხვა არა
დოკუმენტს, რომლებიც „ფაქტის
ლით“ შედიან კანონიერ მოქმედე
რაც შეეხება ბოლშევიკურ რუს
მისთვის სულ ერთი იყო ვისი ხელმ
რა ეწერებოდა საქართველოსთან დად
ხელშეკრულებას, რადგან მას თან
შეეძლო დაერღვია როგორც ლე
ისე კარახანის ხელმოწერილი დოკ
ტი. ეს მით უფრო, რომ საქართ
იმთავითვე მსოფლიო პროლეტა
რევოლუციის ორბიტაში იყო მო
ლი. ამ მიზნის მისაღწევად კი საბ
რუსეთი პრინციპებს არ დაგიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა





— ეჰ, ჩემო ოლლა, ბედი არ გინდა... ჩვენც სპილენძის რომ ვყოფილიყავით, ამ სიბერეში ხომ თურქეთს ვნახავდით.

ილიკოს სიტყვები მის მორიგ ხუმრობად რომ არ ჩათვალოთ, გთავაზობთ „მზიურში" მომხდარ ორ ფაქტს. პეპი გრძელწინდა ძალით ააგლიჯეს ცხენს და, ვინ იცის, თურქეთის რომელ ბაზარზე გაყიდეს, ხოლო არლეკინომ უთანასწორო შეტაკებაში ორი თითი დაკარგა.



# ნადირობა... სპილენძზე

დღეს, როდესაც ქართველი ჭაბუკების სისხლი ცას შეხჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, როდესაც საქართველოს მთლიანობას და დამოუკიდებლობას 18—20 წლის ახალგაზრდები ეწირებიან, სამწუხაროდ, მოგვიმრავლდნენ ფერად ლითონებზე, ძირითადად, სპილენძზე „მონადირენი", რომლებიც ანადგურებენ კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო კომუნიკაციებს, ტრანსფორმატორებს, ქვესადგურებს, სატელეფონო საკონტაქტო ხაზებს, ელმავლებს, ყველაფერს, სადაც კი სპილენძი ეგულებათ...

და გადის საქართველოდან ტონობით ფერადი ლითონი, გადის სარფის საბაჟოს გავლით, თურქეთის ბაზრებისკენ. სანაცვლოდ შემოაქვთ იმპორტული სამრეწველო საქონელი, რომელიც მამასისხლად იყიდება კომერციულ მაღაზიებში.

ნუთუ საბაჟოს საკონტროლო სამსახურისათვის ძნელია იმის გარკვევა, თუ რისთვის მიემგზავრება თურქეთში ერთი და იგივე პიროვნება თვეში სამჯერ და ოთხჯერ? ან რატომ ვერ პოულობენ ავტობუსებში ასობით კილოგრამ ფერად ლითონს? საკითხავია, რა ფასი აქვს ასეთი საბაჟოს არსებობას, თუ ნაძარცვი და ნაქურდალი მშვიდობიანად გააქვთ საზღვრის იქით, სხვა ქვეყანაში.

— ამ, ეგრეთ წოდებულ, „თურქულ ეპიდემიას" სადღეისოდ ერთ-ერთი მშვიდი, — ბორჯომის ხეობის საკურორტო რეგიონიც ვერ გადაურჩა, — გვითხრა ბორჯომის პოლიციის რაიონული განყოფილების უფროსმა, პოლიციის პოდპოლკოვნიკმა თენგიზ პატარიძემ. — თუ ასე გაგრძელდა, პანსიონატები, სანატორიუმები, სპორტული ბაზები სატელეფონო კავშირის გარეშე დარჩებიან. შემაშფოთებელია ის ფაქტიც, — განაგრძობს ბატონი თენგიზი, — რომ ბოროტმოქმედებისათვის მთელი ოჯახი დავაკავეთ. სოფელ დიდი ცემის მკვიდრმა, პენსიონერმა გივი დვალაშვილმა ოჯახის წევრებისაგან შექმნა დამტაცებელთა ჯგუფი. მასში გაერთიანდნენ მისივე შვილები დათო და ილიანა, თავისი ძმა — რკინიგზის ცემის სადგურის მორიგე გერისო დვალაშვილი, ოჯახის ნათესავი ლანჩხუთელი ბექან ფირცხალაიშვილი და ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე ჩამოჭრეს 956 მეტრი სიგრძის სპილენძის შემცველი სატელეფონო კაბელი. ას კილოგრამამდე სპილენძის თურქეთის ბაზარზე რეალიზაციით, შესაძლებელია, გივი დვალაშვილის ოჯახს რამდენიმე დოლარი შეეძინა, მაგრამ ნუთუ ეს ღირდა საქვეყნოდ თავის მოჭრის ფასად?

ჩემთვის მტკივნეულია განვაცხადო, რომ სატელეფონო კაბელის დატაცებისათვის დავაკავეთ საქართველოს ბულბულად აღიარებული მგოსნის სახელისა და გვარის მატარებელი კაცი, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის მუშა, ორი მოსწავლე ვაჟის მამა, 36 წლის აკაკი წერეთელი, რომელიც ბოროტმოქმედებაში ხელშემწყობ სახანძრო რაზმის მებრძოლებთან რაულ კაპანაძესა და შოთა ლურსმანაშვილთან ერთად უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ სპილენძზე „მონადირე" აკაკი წერეთელს დღემდე არ ჰქონია სურვილი ენახა დიდი მგოსნის — აკაკის სახლ-მუზეუმი სხვიტორში. მან დიდი პოეტის ერთი ნაწარმოებიც კი ვერ გაიხსენა.

ცხრაწყაროს უღელტეხილზე 842 მეტრი სატელეფონო კაბელის ჩამოჭრის დროს ბაკურიანის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ხაშურელი ახალგაზრდები ოთარ ნოზაძე, იური ფოცხვერაშვილი და ზურაბ გრიგალაშვილი.

კავშირგაბმულობის მუშაკებმა დიდი ძალისხმევით აღადგინეს განადგურებული სატელეფონო კავშირი, მაგრამ 1 სექტემბერს დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე კვლავ ჩამოჭრეს 300 მეტრი ბიმეტალის მავთული, ხოლო ბორჯომი-ჩითახევი-დვირი-ტაძრისის მიმართულებით 10 კილომეტრი სიგრძის რკინის სადენები დაიტაცეს. მათ არ იცოდნენ, რომ აღნიშნული სადენები სპილენძს არ შეიცავს და თურქეთში ვერ გაყიდიან.

— როცა ქართველი ახალგაზრდები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მათმა ზოგიერთმა ზნედაცემულმა თანატოლმა სამშობლოს საზღვრების დაცვას ქურდობა არჩია, — ამბობს ბორჯომის პროკურორი ბორის მუსელიანი. — წაღვერელმა ახალგაზრდებმა მიხეილ მელაშვილმა, იმედა ველიჯანაშვილმა, პაატა მუმლაძემ და კახა გელაშვილმა დაკავებამდე მეზობლებისა და ახლობლების რვა ბინის გაძარცვა მოასწრეს. ბორჯომელი დიმიტრი ამირანის ძე გელაშვილი მათთან შედარებით უფრო „კეთილშობილი ქურდი" აღმოჩნდა. მეზობლის ბინას სანატორიუმი არჩია. ყოფილი მეფის ნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის სასახლის საბანკეტო დარბაზიდან, რომელიც დღეს სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანის" კუთვნილებაა, გასული საუკუნის გერმანული წარმოების სასადილო ჭურჭელი „ხანსონი" მოიპარა. თურქეთში მისი წაღება დაეზარა და ბორჯომის კომერციულ მაღაზიას ჩააბარა სარეალიზაციოდ...

ფერად ლითონებზე „ნადირობა" კი დღითიდღე საგანგაშო ხასიათს ღებულობს, — განაგრძობს ბორის მუსელიანი. — პარკებიდან და სკვერებიდან დაიტაცეს სპილენძის შემცველი დეკორატიული მხატვრული ნამუშევრები. იძულებულნი ვხდებით, რაც გადარჩა ჩამოვხსნათ და პოლიციის ეზოში შევინახოთ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ღამეებს თეთრად ათენებენ, აკავებენ ბოროტმოქმედებს, გატაცებულ ქონებას უბრუნებენ დაზარალებულ ორგანიზაციებს, მაგრამ ფიზიკურად შეუძლებელია ყოველ დეკორატიულ ნამუშევარს თუ სატელეფონო ბოძებს მცველები დავუყენოთ. ჩვენ ფართო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანადგომა გვჭირდება. ბოროტმოქმედება არ უნდა დაიმალოს.

დროა, სპილენძზე „მონადირეებმა" სარფის საბაჟოს ყველა ხვრელი ჩაკეტოს, რომ ნაძარცვისა და ნაქურდალის თურქეთში გატანის იმედი არ ჰქონდეთ, — დასძინა საუბრის დასასრულს ბორჯომის პროკურორმა.

რეზო კლდიაშვილი

ქ. ბორჯომი

# ნუთუ დამთავრდა ყველაფერი?

იშვიათად გავდივარ სახლიდან... ისიც მხოლოდ პურზე... (ჩემი პენსია მეტს ველარ წვდება).

პურის რიგი... ლოდინი... უამრავი ხალხი, სევდანარევი, მკაცრი სახეები. ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა და... სადღაა ის თბილი გამოხედვა, მოკრძალება. ძლივს ვდგავარ, ვბედავ წინ წაწევას — ქალბატონო! — მაჩერებს ახალგაზრდა ქალის მკაცრი ტონი. უხმოდ ვუბრუნდები ჩემს რიგს. ო, ეს პური! ნუთუ დამთავრდა ყველაფერი? ნუთუ სიხარბემ, გაუტანლობამ გვძლია? ღმერთმა ნუ ქნას. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სიცოცხლე დასრულებულია, ხელი ჩაქნეულია ყველაზე და ყველაფერზე.



— ახალგაზრდა მანიშნებს — „მე აგილებთ" — მადლობას ვუხდი, ვლოცავ გულმოწყალებისთვის, სიკეთისთვის, ყურადღებისთვის.

ეს ქალები მაინც რამ გადარია, გაქრა ქალური კდემამოსილება — თუმცა ვცდები — უჭირთ ქალებს, ოჯახური სიმძიმე მათ კისერზეა — ბაზარი, ოჯახის გამოკვება, ჩაცმა, მოყვარე, ჭირი, ლხინი... გაწვდება კი ოჯახის ბიუჯეტი ამდენს?

... და ასე ბუზღუნებს ხალხი რიგში, ტრანსპორტში, ოჯახში.

პარტიებზე ხო გაუთავებელი დავაა. ლაპარაკობენ „მრგვალებზე", „წითლების" ალზევებაზე.

იცოცხლეთ, პროგრამა ალბათ ყველას კარგი აქვს. თუმცა რა დროს პროგრამაზე ფიქრია. მგონი წინ მივიწევ. „პური ჩვენი არსობისა" — ავილე, გულში ვიხუტებ თბილ პურს... ეს მაინც იყოს... გაგიხარიათ, წყალში ჩავალბობ და...

ისევ რიგი. გაწამებული, დაღლილი, მშვიდობამოწყურებული სახეები...

ნათელა ესართია

პერსონალური პენსიონერი, პედაგოგი

# რეპლიკა

ამ ჩვენს გაუკუღმართებულ დროში ყველაფერი რომ უკუღმა ხდება, ეს არც გვიკვირს. არც ის გაგვკვირვებია, როცა ახალ სასწავლო წელს ჩვენი მოსწავლეები უწიგნოდ, ცარიელი ჩანთებით შეხვდნენ. ვიფიქრეთ, უჭირს სახელმწიფოს, სადა აქვს ამდენი სახელმძღვანელოების გამოცემისთავიო და ამით დანუგეშებულებმა ისევ ძველი წიგნების შეკეთება — განახლებას მივყავით ხელი.

სამწუხაროდ, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. სახელმძღვანელოებიც გამოცემულა (თუ ყველა არა, ალბათ, ნაწილი მაინც) და რაღაც მანქანების ძალით ინდივიდუალურად მოვაჭრე სპეკულანტების ხელშიც მოხვედრილა. დავდივართ ახლა მშობლები [illegible]რობებზე და ხუთმაგ ფასში ვყიდულობთ საჭირო წიგნებს.

ვეკითხები განათლების სამინისტროს და შესაბამისი გამომცემლობების მესვეურთ: როგორ ხდება ის, რომ სკოლები სახელმძღვანელოების მწვავე დეფიციტს განიცდიან და ამ დროს სხვადასხვა ბაზრობებზე დასტადასტით [illegible] წიგნები?

სერგო ჯანაშია

ნომერში წარმოდგენილი ფოტოების ავტორია ჯემალ კასრაძე

## დაიჯესტი

# ევაკუაცია კოსმოსში ანუ სად იკარგებიან ადამიანები?

ამ სამი წლის წინ, როცა ანომალური კონტაქტური სიტუაციების კვლევის ცენტრში შეუდგნენ კოსმოსიდან „ჩამოსულებთან" კონტაქტის შემთხვევების ანალიზს, საბჭოთა მეცნიერებმა წამოაყენეს ახალი ჰიპოთეზა: უკანასკნელი ხუთი-შვიდი წლის მანძილზე უცხოპლანეტელთა მიერ დედამიწიდან ხდება ადამიანთა ევაკუაცია სხვა სამყაროებში.

უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე არაადამიანური დონის გონიერმა ძალებმა გამოგვიკვლიეს ჩვენ და ჩვენი პლანეტაც და 1983 1985 წლებამდე ფაქტიურად არ გვაქვს ცნობები ადამიანთა მასობრივი გატაცების შესახებ ამტკიცებს ჰიპოტეზის ავტორი, ცენტრის გენერალური დირექტორი ალექსი პრიიმა დღეს კი ეს აქცია ატარებს სტაბილურ ხასიათს და ხორციელდება, შეიძლება ითქვას, გეგმაზომიერად.

... 1989 წლის ზაფხულის აგვისტოს ერთ საღამოს სალსკის სარწყავი სისტემების სარაიონთაშორისო სამმართველოს სატუმბო სადგურის (როსტოვის ოლქი) უფროსი ვ.პალჩიკოვი თავისი „ჟიგულით" ბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქში საქმიანი მგზავრობიდან. ტრასაზე სიწყნარე და სიმშვიდე იყო. უეცრად მძღოლმა შენიშნა, თუ როგორ ქრებოდა ძრავი და ფარები. მან მანქანა გააჩერა და ჩამოვიდა. ასწია „კაპოტი" და ამ დროს ზურგს უკან მიესმა ხმაური. მძღოლთან ახლოს იდგა ოთხი „ჰუმანოიდი". ისინი იყვნენ ძალიან მაღლები და ჰქონდათ გრძელი ხელები. სახე დაფარული ჰქონდათ შუშისმაგვარი რალაცით. მათი მბრწყინავი მოვერცხლისფერომონაცისფ... კოსტუმები ირეკლავდნენ მთვარის შ... ერთ-ერთ „ჰუმანოიდს" წელზე მიმა... ული ჰქონდა პატარა ყუთი.

შენ ალბათ, არ შეგეშინდა? მეგობრულად და მოულოდნელად რუსულ ენაზე მიმართა მათგან ყველაზე ახლოს მდგომმა.

პალჩიკოვმა წყნარად, აუღელვებლად უპასუხა „საალერსო" სიტყვებით. იმათ გაიცინეს.

არ გსურს ჩვენთან წამოხვიდე? არ ინანებ...

წადით...!

კარგი შეაწყვეტინეს მას „ჩამოსულებმა" ახლა ჩაჯექი მანქანაში და გასწიე. თუ დაგვჭირდი, გიპოვით.

ალექსი პრიიმას კომენტარი: ჩვეულებრივ, ადამიანები, რომლებიც პირისპირ შეხვდნენ კოსმოსიდან „წარმოგზავნილებს", დროებით პარალიზდებიან: ისინი თითქოს მუნჯდებიან, უჩქარდებათ მაჯისცემა, უჭირთ სუნთქვა... პალჩიკოვს კი ეს არ დამართნია. იგი აუღელვებლად შეხვდა მოულოდნელ სიტუაციას თავისი მტკიცე ხასიათის გამო. ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ ის რაიონი, სადაც მოხდა პალჩიკოვის შეხვედრა „ჰუმანოიდებთან" და ბიოლოკაციის მეთოდით აღმოვაჩინეთ ამოუცნობი მფრინავი ობიექტის დაჯდომის ადგილი. მოხაზულობით ის გვაგონებს წრეს. მართლაც, რუსულ ფოლკლორში გვხვდება თქმულებანი ამ უცნაურ მოვლენებზე. მათ „ჯადოქრულ წრეებს" უწოდებენ, ან „ეშმაკის ნაფეხურებს" ეძახიან. ეს საშიში რამეა, რადგანაც შეუძლია შევიდეს ურთიერთობაში ადამიანის ორგანიზმთან, რის შედეგადაც ადამიანებს აღენიშნებათ მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, არაადამიანური ტკივილები სახსრებში, ზოგჯერ სამი-ოთხი დღით ჰქონდათ შიშის ნიშნებიც კი. მე გამოვცადე ამ „ჯადოქრული წრეების" ზეგავლენა და თითქმის ორი თვე ვიავადმყოფე.

... 1990 წლის ივნისის ბოლოს მოსკოვის გარეუბნების მცხოვრები ზ. გავრილოვა საღამოს მატარებლით ბრუნდებოდა სახლში. ცხოვრობს იგი სამხედრო დასახლებაში. იმ დღეს მატარებელმა დააგვიანა და გავრილოვამ ავტობუსს ვერ მიუსწრო. ამიტომაც მოუწია ფეხით წასვლა სახლამდე. გზას შუაზე ყოფს მდინარე, რომელზეც ხიდია გადებული. ამ ხიდს რომ მიუახლოვდა, შეამჩნია რაღაც უცნაური ფიგურა, ახლოს რომ მივიდა, ნახა, რომ ეს ქალია, შავებში ჩაცმული, ხელში უჭირავს ფანარი, რომლის შუქიც თვალებს აბრმავებდა. ქალს ხმა არ ამოუღია, მაგრამ რაღაცნაირად კი შეეკითხა გავრილოვას:

შეჩერდი, სად მიდიხარ?

გავრილოვამ დაუსახელა თავისი ქალაქი. შავებიანმა ქალმა სამჯერ გაუმეორა:

წამოდი ჩემთან!..

შემდგომ გავრილოვას არაფერი ახსოვს. გამოერკვა ქალაქში შესასვლელი პუნქტის წინ მდებარე სკამზე. ფეხებთან ეწყო თავისი პოლიეთილენის პარკი და ჩანთა. სახლში მისულს შეშინებული შვილი შეეკითხა:

დედა, სად იყავი?

აღმოჩნდა, რომ გავრილოვა საათნახევრით გაქრა შავებში ჩაცმულ ქალთან შეხვედრის შემდეგ, თუმცა სადგურიდან სახლამდე ნახევარი საათის სასიარულო მანძილია. 32 საათის შემდეგ ამ ამბიდან იგი თავისი თავგადასავლის შესახებ მოუყვა ცენტრის უფოლოგებს. გამოცდილმა ექსტრასენსმა და ჰიპნოზიორმა ვ.ანდრეევმა ჰიპნოზის რამდენიმე სეანსი ჩაუტარა გავრილოვას, რის მეშვეობითაც გაიხსნა მისი მახსოვრობის ბლოკი და ცნობილი გახდა ამ უცნაური ისტორიის დეტალები.

შავებიანმა ქალმა გავრილოვა გაიყვანა სტადიონზე. ტრიბუნასთან ახლოს იყო დიდი მანათობელა ბურთი 20 მეტრის დიამეტრით. შუქი თითქოს კონცენტრირებული იყო, რადგან ირგვლივ მიდამოს ეცემოდა, მაგრამ ყურადღებას არ იქცევდა. ბურთში კარი გაიღო და გამოჩნდა კიბე. შემდეგ გამოჩნდა „ჰუმანოიდის" ხელი. ასე აღმოჩნდა გავრილოვა ამოუცნობი მფრინავი ობიექტის შიგნით. თვით ფრენის ამბავი გავრილოვამ ვერაფრით გაიხსენა. ალბათ, ძალიან ცოტა ხანს იფრინეს.

შემდეგ ამოუცნობი ობიექტი აღმოჩნდა ვეებერთლა გუმბათის ქვეშ, რომელიც ფარავდა უცნობ პლანეტას. ყველაფერი განათებული იყო ხელოვნური მკვეთრი შუქით. „ჰუმანოიდმა" ხელში აიყვანა გავრილოვა და წაიყვანა. გზის ორივე მხარეს იდგა პატარა სახლები მომცრო ფანჯრებით, რომლებიდანაც ზევით მიემართებოდა რამდენიმე მილი სხვადასხვა ზომისა და სიგრძისა. ქუჩის ბოლოს იდგა უფრო დიდი ბურთი, ვიდრე ამოუცნობი მფრინავი ობიექტი.

ისინი შევიდნენ ამ ბურთის შიგნით. მეწამულ-მოწითალო ფერის შუქი ეცემოდა იქ მყოფ „ჰუმანოიდებს". ერთი მათგანი ჩვეულებრივ, მიწიერ ადამიანს წააგავდა. მან მიმართა გავრილოვას რუსულად და შესთავაზა სამუდამოდ დარჩენილიყო აქ, კუინლიში. გავრილოვამ მტკიცე უარი სტკიცა, მაგრამ „მიწიერი" ადამიანი კვლავ შეეცადა დაეყოლიებინა გავრილოვა, თანაც უკვირდა მისი უარი:

როგორ არ გესმის, ვერ ხედები, რომ მე და შენ ერთი და იგივე ვართ, ორივე ადამიანები ვართ. შენ უნდა დარჩე აქ ჩემთან ერთად!..

ჰიპნოზური სეანსის მეშვეობით პრიიმამ და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ უცხოპლანეტელებთან კონტაქტის პირველი შემთხვევა გავრილოვას ჯერ კიდევ ბავშვობისას, 3,5 წლის ასაკში ჰქონია სოფელში, ბებიასთან, მინსკთან ახლოს. სწორედ მაშინ ესტუმრა იგი პირველად ქალაქ პლანეტა კუინლის. მეხსიერებას შემორჩა ემიზოდი ვიღაც ბავშვთან თამაშისა, რომელიც „მიწიერი" ბავშვისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ხოლო ერთი წლის უკან, მივლინებაში ყოფნისას ქ.როსტოვში, გავრილოვა შემთხვევით შეხვდა ამოუცნობი ობიექტის პილოტს. ეს იყო იგივე ბიჭი ბავშვობის ფანტასტიკური სამყაროდან. გავიდა 40 „მიწიერი" წელი და ისინი კვლავ შეხვდნენ ეთმანეთს. ამ ზაფხულს კი სწორედ მან შესთავაზა თავის დიდი ხნის ნაცნობ ქალს გავრილოვას საპლანეტთაშორისო მოგზაურობა. გავრილოვას უარზე სამუდამოდ დაეკავშირებინა თავისი ბედი ახალ სამყაროსთან, პილოტმა კატეგორიულად განუცხადა:

ჩვენ მაინც დავბრუნდებით შენთან. გველოდე...

ლამაზი ზღაპარია, არა? გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ყველაფერი ასეა, ამტკიცებენ მეცნიერები. უფრო მეტიც...

ჩვენ ვიცით ადგილი, დღე და დროც კი ამ ქალის მოტაცებისა სრულიად სერიოზულად ამბობს ა. პრიიმა. ინფორმაცია ამის შესახებ მიღებულია იმავე მეთოდით ადამიანზე ჰიპნოზის ზეგავლენით. ცენტრის დირექტორის აზრით, გავრილოვა, ისევე როგორც სხვა კონტაქტერები, მხოლოდ „პეშკაა სხვის თამაშში" მათი მეშვეობით არამიწიური ცივილიზაციების წარმომადგენლები (ერთის? რამდენიმესი?) კაცობრიობას ამზადებენ ახლი განსაცდელისათვის. ადამიანთა ცნობიერებაში სულ უფრო მკვიდრდება იდეა, მომავალი მსოფლიო წარღვნის შესახებ. წუთებამდე სიზუსტითაა ცნობილი თუ როდის მიაღწევს იგი პიკს 2002 წლის 7 ივლისს ღამის 3 საათზე მოსკოვის დროით. ამ კრიტიკულ მომენტამდე მთელ პლანეტაზე თანდათან აიწევს ტემპერატურა, სითბო მოიმატებს 25 გრადუსი ცელსიუსით, კაცობრიობას მოედება რვა საშინელი ავადმყოფობა. შემდეგ დაიწყება წყნარ და ატლანტის ოკეანეში ტექტონიკური ფილების კატასროფული რყევები... აი, თითქოს ამიტომ, რომ იხსნან მსოფლიო ცივილიაცია დაღუპვისაგან, „ჰუმანოიდები" ახორციელებენ ადამიანთა ევაკუაციას კოსმოსში.

თვითონ აზრი მსოფლიო წარღვნის შესახებ ახალი არაა. თანამედროვე მსოფლიოს ეკოლოგიური მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშოა და თუ ასე გაგრძელდა, ათეული წლების შემდეგ შეიძლება ამას მოჰყვეს გლობარული კატასტროფები. ეს უკვე ფანტასტიკა კი არა, რეალობაა.

რა თქმა უნდა, თუ დაკვირვებით გავაანალიზებთ უფოლოგთა მონაცემებს, შეიძლება აღმოვაჩინოთ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებიც და ზოგიერთი დასკვნებიც დავაყენოთ ეჭვქვეშ.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ მე ვაპირებ უფოლოგთა დღევანდელ მიღწევებს ხაზი გადავუსვა. „ცრუ მეცნიერებთან" ბრძოლის გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში საკმაოზე მეტადაა. რა ვუყოთ იმ ხალხს, ვინც „კოსმოსური ექსპერიმენტის" მსხვერპლი გახდნენ. რითი ავხსნათ ის ფენომენიც, რომ ჩვენი დები და ძმები ასე ხშირად უკვალოდ ქრებიან. ზოგიერთი მონაცემებით, 1988 წელს საბჭოთა კავშირში უგზოუკვლოდ დაიკარგა 17 ათასზე მეტი ადამიანი (ბოდიშს ვიხდი არა კორექტული შედარებისათვის, მაგრამ ავღანეთში ათწლიანი ომის შედეგად დანაკარგი გაცილებით ნაკლებია). მაშ, რა არის ეს? მაფიის საქმიანობის შედეგი თუ დანაშაულობასთან აქტიური ბრძოლის შედეგი?

მაინც, სად გადის საზღვარი მითსა და რეალობას შორის?

ოლეგ სესტრენსკი

„7 პლიუსით" №14

# რა დააშავა ამ სახლმა?

საუბარია საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების საკუთრებაზე, უფრო სწორად, მის ადმინისტრაციულ შენობაზე (ი.ჭავჭავაძის გამზირი, 35). მკითხველს მივაწვდით მხოლოდ ფაქტებს, დასკვნების გაკეთება მისთვის მიგვინდვია.

* 1990 წლის ივნისი. კომუნისტური რეჟიმის პერიოდი. ამხაგანი დ. მეგრელაძე, ქალაქის საბინაო სამმართველოს მაშინდელი უფროსი და „ძმანი მისნი" კატეგორიულად მოითხოვენ ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარისაგან, ბატონ ომარ ჯანელიძისაგან შენობის დაცლას მასში ახლადშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის განთავსების მიზნით.

დავა დაუმთავრებელი დარჩა რეჟიმის შეცვლის გამო.

* 1991 წელი. „მრგვალი მაგიდის" რეჟიმის პერიოდი. ქალბატონი მ. ძოძუაშვილი და ბატონი მ. ომანიძე საზოგადოების თავმჯდომარეს ასეთივე კატეგორიულობით თხოვენ შენობის დაცლას მასში რომელიმე ქვეყნის საელჩოს განსათავსებლად.

დავა დაუმთავრებელი დარჩა, კვლავ რეჟიმის შეცვლის გამო.

* 1992 წელი. 24 სექტემბერი. ბატონები დ. ბერძენიშვილი და ქალაქის მერი ო. ლითანიშვილი ამავე საზოგადოების თავმჯდომარესთან ბატონ ო. ჯანელიძესთან კვლავ კატეგორიულად სვამენ საკითხს შენობაში თურქეთის საელჩოს განთავსების შესახებ.

დავა გრძელდება...

ცნობისათვის: 1950-იანი წლების ბოლოს შენობაში შეიქმნა ამჟამადაც საქართველოში ერთადერთი, ზოოლოგიური და ბუნების დაცვითი მუზეუმი, რომელიც დამონტაჟების დღიდან ხელშეუხლებელია და ამდენად, მისი გადატანის შემთხვევაში იქმნება რეალური საფრთხე იმისა, რომ მუზეუმის ექსპონატების დიდი ნაწილი განადგურდება.



## ბადრი გერაძე

იყო პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი, 29 აგვისტოს დაიღუპა ბაგრაშში, სოფელ კოლხიდასთან.

*

ახლა, როცა ტრადიციულ ცერემონიებზე ზრუნვა ჩავლილა, მოდის ტკივილი და უღიმღამო დღეების გრძელი უშენობა.

ყველაფერი შეიცვალა ირგვლივ. ჩვენს თვალწინ წამოზრდილი ბიჭები თითქოს დაკაცდნენ ბადრის წვერმოშვებულებს, თვალებში უსაშველო სევდა ჩაუდგათ, ცდილობენ უმისოდ არ აგრძნობინონ ირაკლის და მაინც, შენ რა იციან როგორ უზომოდ ჰყავდი გამიჯნებული შენით შენი ცოლ-შვილი. ჩვენთვის ხომ არ არსებობდა განუხორციელებელი ოცნებები, აუხდენელი ნატვრა. შენ ხომ მარილივით ხელის გულზე გვატარებდი, გვამაგრებდი. ახე გაზიზებულნი დაგვტოვე უამრავი ცხოვრებისეული პრობლემის წინაშე, რომელთა არსებობაც კი არ ვიცოდით აქამდე.

შენ რომ გაგეგო როგორ გიხმობდა სიცხიანი ირაკლი, ვერანაირი ძალა ვერ დაგაკავებდა, თვით შენს გულზე ხელით დაყრილი მიწაც კი. ახლა ადვილი მისი მოტყუება:„ბადრი სამსახურშია, ბადრი სამეგრელოშია, ბადრი აფხაზეთშია..." შენ ხომ ყოველთვის პირველი ჩნდებოდი იქ, სადაც საქართველოს რაიმე სტკიოდა, სადაც რაიმე ვერ იყო რიგზე და საკუთარი პროფესიის უზომოდ ერთგული, იცოდეს ღმერთმა, ხელის მოსასობად არსად წასულხარ.

შენ ხომ ყველას ქომაგებოდი და ყველას ეცლინებოდი მწედ და დამხმარედ. როგორც შეგეძლო, რითაც შეგეძლო. შენ ყოველთვის სხვის საქმეზე მიიჩქაროდი, არაფრის წინაშე უკან არ იხევდი. ხიფათებს გასაოცარი შეუპოვრობით ეჭიდებოდი და იმარჯვებდი. უამრავი საქმით დატვირთული მაინც პოულობდი დროს, რათა ბებიისათვის საჭირო სამკურნალო ბალახების ძებნაში სოფლები, მინდვრები და ხევები შემოგევლო. საავადმყოფოში დედის საწოლთან ჩამომჯდარი ასულივით უთვლი ლმობიერად ახლობლებს ექიმის მაგივრობასაც უწევდი. სად გქონდა ამდენი სითბო ბიჭო! როგორ იტევდა შენი გული ყველას ტკივილსა და საწუხარს. შენ ჩვენთვის მფარველისა და გადამრჩენის სიმბოლოდ იქეცი და ასეთად დარჩები მუდამ.

მიჭირს შენი მეგობრების მაგივრად გითხრა რაიმე. შენ ალბათ გესმოდა ბიჭების ქვითინი, თუმცა ვერ ხედავდი ამდენ აწრიალებულ ბიჭს ერთად. მე კი ვხედავდი და ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო.

შენ ყველაფრით გამორჩეულს, სიკვდილიც გამორჩეული გქონდა. სხვებისათვის თავგანწირვით დაასრულე შენი სიცოცხლე. საკუთარი მკერდით დაიცავი მათი სიცოცხლე, რაკვან გაჩერე შენს სიახლოვეს, ტყვიების წვიმაში.

„წადი დაითა, წადი! ეს იყო შენი უკანასკნელი სიტყვები. ბოლო წუთებამდე სხვებზე ფიქრობდი, თუმცა გასაკვირი ის იქნებოდა ასე რომ არ ყოფილიყო.

ტყვიებმა დაგლითეს შენი სხეული. მაგრამ გული, შენი გული, გაჯერებული სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით მთელი იყო. ვერანაირი ჭაჭკი, სიბინძურე და უწმინდურება მას ვერ მიეკარა ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილში.

„ბადრი აღარა გვყავს" მეხივით დაგვეცა ცნობა შენი დაღუპვის შესახებ. ნუგეში ერთადერთი შვილის დამკარგავი შენი დედ-მამის, ცოლის, შვილისა და ახლობლებისათვის შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ შენ ისევ ისე მოულოდნელად გამოჩნდები ჩვენს შორის, როგორც იცოდი და არ გაიმეტებ ჩვენთვის ამ სიმწარეს უშენობას.

მაია


ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

რედაქტორის მოადგილე

სერგო ჯანაშია